



ԱՐԵՎ

ՊՈՅԻՆԴԱՀՈ

~15~



საქართველოს კულტურის დაცვის ფასლის მინისტრის
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამოცემის მიზანი „საბამის სამართლებრივი“
თარიღი — 1968

ବୁଦ୍ଧାରେଣ୍ଟଙ୍କ
ଶିଖିଲାମନ୍ତରୀ



ବୁଦ୍ଧାରେଣ୍ଟଙ୍କ ଶିଖିଲାମନ୍ତରୀ


ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶ ଅନୁଷ୍ଠାନିକ
ମୁଦ୍ରଣ-କ୍ଷେତ୍ରନାଳ୍ପରୀ ଓ ଏକାଂକିତ ପ୍ରକାଶକ

မြန်မာ

နှောက်များ ပေတွဲဖော်ပေး



ՀՅԱՋՎՈՐԻ ԵԱԿՈՒՑՆԵՐՈՅՆ ԵԱԴՅՈՒՆԱԳՐԻ ՊՐԵՄԻԱ



არმაზისხევის შესართავი. აქ დაიწყო სისტემური თხრა და აღმოჩინა
ურთისავთა ნაბედური მცხოვრის კესახდიცამ

გიორგი ლომთათიძე

იქ. ფავანშეილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შესახერნეთა
არქეოლოგიის განყოფილების გამგე

მცხეთის არქეოლოგიური ექსპოდიცია იცდაათი წლისა

მცხეთის — ძველი ქართლის ანუ იბერიის დედაქალაქისა და, საერთოდ,
ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქთაგანის — დიდი როლი საქართველოს ისტორია-
ში საყოველთაოდ არის ცნობილი. ამიტომ იყო, რომ მისი დამიწებული ძეგლე-
ბის ჯერივანი შესწავლისაგან ბევრს რასმე გამოელოდა მეცნიერება და ახლა ცვე-
ლას მოეხსენება, რომ მთლიოდინი საესებით, გადაჰარბებითაც კი არის გამართ-
ლებული. ეს იმ დაუღალავი მეცნიერები კოლექტივის დამსახურებაა, რომელ-
საც მცხეთის არქეოლოგიური ექსპოდიცია ეწოდება და რომელიც საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ უძველეს და უნაყოფიერეს ჭარმინაქმინად
უნდა ჩაითვალოს. მასში ათეულობით მცვლევარს აქვს მიღებული მონაწილეო-
ბაც და ჯერივანი მომზადებაც.

*

*

*

„საუკუნეთა განმავლობაში უდაბურობისა გამო წამოზრდილი ტკუ-ბუჩქა-
რის სიღრმეში ჯერ კიდევ მრავლად იმაღლება ნანგრევები, რომლებიც, სამწუხა-

როდ, დღემზე არავის „აღუწერიათ“, ღელავდა ამ 140-ოდებულ წლის შინ ცხრილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსეს ელიანი, მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე საუბრისას. „ვინ იყის, კიდევ რამდენ არქეოლოგიურ სტუდენტებს მცხეთის ნანგრევები, ჯერაც რომ არავის დაუთვალისწილების — აქტაზებზე იმავე ხანებში შვეიცარიელი მოგზაური-სიძეველეთმცოდნე ფ. დიუბუა დე ჩონჟერე, რომელსაც საერთოდ, თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საქართველო-კავკასიის ძეგლთა შესწავლაში.

ესენი იწერებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში. ორიოდე წლის შემდევ ჩატარდა პირველი არქეოლოგიური გათხრა ჩერენში — ოლონდ უფლისციხეში (დიმ. მედვინე თუ ხუცესი შევიღის ხელით) და არა მცხეთაში. ამ უკანასკნელის წიაღისეულმა ძეგლებმა ცხოველი ყურადღება აღძრეს მხოლოდ 1860-იანი წლების ბოლოს, საქართველოს სამხედრო გზის ახდინი ტრასის გაშრასთან დაკავშირდით. 1867 წელს აღმოჩნდა (დღევანდელი ზაპესის ზიდის მახლობლად) დიდი ფილაქეა, რომელზედაც ამოჭრილია ბერძნული წარწერა, კეიისარ ვესპასიანესა და მისი მემკვიდრების სახელით (ახ. წ. 75 წ.). წარწერა ნათევამია, რომ რომაელებმა თავიანთ მეგობარს მითრიდატე მეფეს და



პირველი კამპანია (არქეოლოგიური, 1867 წ.)

იუნგა ამანის გამოშეცემა

იბერიელებს ზღუდე გაუმაგრეს. ორიოდე წლის შემდევ მცხეთის ნიდილო ვარეუბანში, სამთავროს მინდორზე იჩინა თავი მრავალრიცხოვანმა ძეგლმა ქვის-სამარხებმა. ის სამართვანი წლობით ითხრებოდა (ავსტრიიდან ჩამოსული ფ. ბაიერნის მიერ). 600-ოდებულ სამართვის მიხედვით გაირკვა, რომ იქ იმარხებოდნენ მცხეთის მეცნიერნი გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ადრეულ შეა საუკუნე-

ებამდე. მაგრამ თხრის წესი და განათხარის გაუზრიანება დაბალ დონეზე იმდე
და ის დიდი, მრავალფეოვანი ძეგლი უკეთესი შემსაწელელის მოღოლინში იქნა
მიტოვებული.

ქართველ არქეოლოგთაგან მცხეთაში პირველად მოუხდა მუშაობა სახელმისამართის მცნობიერს ექვთიმე თაყაიშვილს, ორგზის: 1889 წელს (სამხრეთ კარებანში, ბაგინეთს, დაცით ქუთათელაძის მონაწილეობით) და 1902 წელს (დასავლეთ გარეუბანში, ე.წ., ნავთსადენის სადგურში, სანგრისხევის შესართავთან). მიუხედავად თხრის ხანმოკლეობისა, მცხეთის არქეოლოგია მაინც საგრძნობლად დაწინაურდა: ბაგინეთში ითხრებოდა ჩვენს დროს იქ გამოვლენილი სამეფო რეზიდენციის ერთ-ერთი ნაგებობა, რომელშიც ანტიკური დროის ფრესკა აღმოჩნდა, სანგრისხევთან კი — ახ. წ. I-VIII საუკუნეთა სამაროვანი.

ამით ამოიწურა მცხეთის არქეოლოგიურად შესწავლა რევოლუციამდელ ხა-



არმშისხევი, ა. კალანდაძე და ღ. მესხელიშვილი ფილავეასთან,
რომელიც დაღაცური სამარხის სახერავი გამოდგება (1940 წ.).

თაში. შემდეგ, 1920-იან წლებში იქ ორი მცარე გათხრა წაატარა პროფ. კიორგი ნიორა დემ. რომელმაც გამოავლინა აღრეულ შუა საუკუნეთა დამდეგის კუთხილი სამარხები კარსნისხევის შესართავთან და წიწამურის ველზე.

რა თქმა უნდა, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლების, უკე რამდენსამეტ უბანზე საინტერესოდ თავჩენილი კომპლექსი მეტი ყურადღების ღირსი იყო. სათანადო ლონისმიერის განხორციელება კი დაიწყო მხოლოდ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საბჭოური ქართველთმცოდნების მიწლაგრი კერა — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, ანუ მოკლედ „ენიმე“, რომელიც ერთი მთა-

ვარი ბურჯი გახდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა (1941 წელს, ფილიალის ეროვნულ აკადემიად გარდაქმნის შემდეგ). „ენიმეი“ გაიყო ორად, ენისა და ისტორიის ინსტიტუტებად, ხოლო ამ უკანასკნელს დაუსადლობით ეწოდება იუ. ჯავახიშვილის სახ. ისტორია-არქეოლოგიკური ინსტიტუტი.

„ენიმეის“ დამაარსებელი და პირველი მესკეური, პროფ. სიმონ ჯანაშვილი აღნიშნავდა, რომ ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში იმთავითვე მოექცა „მცხოვა, როგორც დაუყოვნებელი არქეოლოგიური გათხრისა და გამოკვლევის იმიერტი“; რომ შემთხვევით არ ყოფილა არჩეული ეს — საქართველოს პოლი-



შ. ჭავახიშვილი, ს. განაშავა, ლ. მესტელიშვილი, გ. მიოჩაძე,
გ. ჩიტაია, ა. აფაშევიძე, მ. ივაშემიძე, ა. კალანდაძე, გ. ლამითავაშვილი
და სხვანი მპარტეგ ერთისოւის სამართლან

ტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, ისტორიულ წყაროებში ძველადი კარგად გამუშევრული — პუნქტი. რომელსაც არასოდეს დაუკარგავს ის მნიშვნელობა, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური ცენტრების ხშირი ადგილ-გადანაცვლებისა. მცხოვაში არქეოლოგიურ მუშაობას ინსტიტუტი შედგა უმ-თავრესად ძველი, ქართული თუ უცხოური ლიტერატურული წყაროების ანალიზისა და ენობრივი თუ ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინების შედეგად უკვე სამოყალიბებული წარმოდგენით. რა თქმა უნდა. გათვალისწინებული იყო XIX საუკუნეში წარმოებული თხრის შედეგები და შემთხვევით ამომზეურებული ძეგლებიც.

აკად. ივანე ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა მცხოვაში წამოწყე-

შული მუშაობის მნიშვნელობას: „წარმოებული თხრა განსაკუთრებით ამითდა სა-ინტერესო, რომ საქართველოში პირველად ხდება გეგმიშვილის პრეოლოგიური აოვისება ერთ-ერთი უძველესი, სახელგანქმული ქალაქისა, რომელის სა-ხელწოდებაც ზუსტად ვიცით და რომლის სამართვანი („სამთავრული მუნიციპალიტეტი“) თხეობებიც მეტი საუკუნის ხანგრძლიობის ნივთიერი კულტურის ძევლითა შემცველი, მთლიანი გაოზრილი და შესწავლილი იქნება. იმის სრულიად გასათვა-ლისწინებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს... ამ საქმეს არა მარტო საქართველოს ისტორიისაოცის, არამედ მთელი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადასაწყვეტად, უნდა გვახსოვდეს,



რვ. ჯავახიძეის მოვალიერების ამავრევის სატექნიკო თეორიის ქარქაში
(1940 წ.)

რომ ქალ მცხეთა იდო თრი უძველესი მაგისტრალური გზის... ჯვარიდინშე და რომ სწორედ ამის გამო ბუნებრივად უნდა მოველოდეთ აქ მასალას საქაცობრივი კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხის გასაცნობად.“ აქე უნდა დავგინოთ. რომ დიდი მასწავლებლის ეს წინააღმდეგობრივი მუსეუმები საღლეისოდ საკუნძო ახდენილი“ აქეს მცხეთის ექსპედიციას...

*
* *

ახეთი გაგებითა და მიზანდასახულობით დაიწყო მცხეთის არქეოლოგიური შესწავლა — პროფ. ს. ჯანაშიას თაოსნობით, ინსტიტუტის დაარსებიდან რვა თვის შემდეგ — „ენიმკიმ“, რომელიც არქეოლოგიაშიც უკვე წამყვან სამეცნიერო დაწესებულებად იქცა საბჭოთა საქართველოში.



ს. ჭანიშვილი, არქეოლოგები და სტუმარები
აომაზისხევის განთხარზე (1941 წ.).

ლენილი. 1937 და 1938 წლის ზაფხულში ის ნაშთი მთლიანად გაითხარა და ანტიკური დროის აბანი გამოდგა, მის ირგვლივ კი მომდევნო საუკუნეთა სამარტინი გამოჩნდა ათეულობით. ამ მუშაობას მუდმივ კონსულტაციას უწევდნენ პროფესორები ს. ჭანაშვილ და გ. ნიორაძე.

ეს ორი კამპანია იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ნაბიჯები. მაშინ ჩაეყარა მტკიცე საძირკველი მის ხანგრძლივესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

1939 წლის შემოდგომაზე, შემთხვევით (საბეითლო პუნქტის შენების და-

1937 წლის ზა-

ფხულში მცხეთის მიერ-
ლინებულ უწევდნენ მცირე
ჯგუფი მცხვევარი ნი-
ნო ხორცია და და-
სხვები), რომელსაც ინ-
სტიტუტმა უთავა თა-
ვისი უფროსი თა-
ნამდებომელი, ლენინ-
გრადში ასპირანტურა-
გავლილი არქეოლოგი
აღექსანდრე კა-
ლანდაძე (ამჟა-
მად ივ. ჯავახიშვილის
სახ. ინსტიტუტის გან-
ყოფილების გამგე-
დლებაც დიდი წარმა-
ტებით უძლება თხრას
და ფრიად თვალსაჩინო
დამსახურება მიუძღვის
არა მარტო მცხეთის,
არამედ, საერთოდ, სა-
ქართველოს არქეოლო-
გიის წინაშე).

მცხეთისა და მისი
მიდამოების დაზერვის
შემდეგ აღნიშნულმა
ჯგუფმა არჩევანი შეა-
ჩირა მცხეთის დასავ-
ლით ჩამომდინარე არ-
მაზისხევის შესართავ-
თან მდებარე ტერასა-
ზე, სადაც ქეთიკირის
ძველი მცვიდრი შენო-
ბის ნაშთი იყო გამოვ-

ზე, სადაც ქეთიკირის

ძველი მცვიდრი შენო-

ბის ნაშთი იყო გამოვ-

წყებისას) ორი წარწერიანი ფილაქების აღმოჩენის გამო, აუცილებელი გახდა—
სასწრავოდ თხრის დაწყება სამთავროს მინდოოზე, რომელსაც არქეოლოგი-
ზი სამოციოდე წლის განმავლობაში აღარ სწოროდნენ და რომელიც იმყარენ კუ-
ლაქის ახალი უბნის გასაშენებლად იყო განკუთვნილი. მთავრობის დადგნილე-
ბით შეიქნა დიდი ექსპედიცია (14 წევრი), რომელმიც გაერთიანდნენ „ენიმეის“,
საქ. სახ. მუზეუმის, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის და ხელოვნების
მუზეუმის ახალგაზრდა თანამშრომლები და ასპირანტები. მცხეთა-სამთავროს
ექსპედიციის ხელმძღვანელობა მიენდო აკად. ივ. ჯავახიშვილს (რომელიც 1940



არქეოლოგები შემარბენ სამთავროს ჩრდილო უბაზე (1938 წ.)

წლის ნოემბერში უკურად გარდაიცვალა, საჯარო ლექციის კითხვებისას და შემდეგ
ის მოვალეობა პროფ. ს. ჯანაშიას დაეკისრა). გამოიყო მთავრობის კომისია
(განათლების სახ. კომისრის თავმჯდომარეობით) და ექსპერტების კომისია
(ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩე-
ბინაშვილის, გ. ნიორაძის, შ. ამირანაშვილისა და დ. ლომაძის შემადგენლობით).
ექსპედიციამ ორ ჯგუფად იმუშავა: ჩრდილოს ალ. კალანდაძე მეთაურობით,
სამჩრეთის — საქართველოს არქეოლოგიის ხანდაზმული, ექთილსინდისტრი სპე-
ციალისტი მიხეილ ივაჩენ კო. ითხრიებოდა ასეულობით და ასეულობით
ნაირნაირი, სხვადასხვა დროის სამარხები (შეუბრინჯაოს ხანიდან ახ. წ. VIII
საუკუნამდე); გროვდებოდა დიდადი მეტყველი ნივთიერი ძეგლები; ზესტდე-
ბოდა და ისებოდა უწინ მცდარად აგებული სქემა 16 პექტარზე ვადაჭიმული
„მრავალსართულიანი“ სამართვის სტრატიგიული ინიციატივისა; იწერებოდა მცხეთისა და
ქართული კულტურის ისტორიის სულ ახალ-ახალი ფურცლები, ათეულობით
საუკუნეთა მანძილზე. ექსპედიციამ ამრიგად იმუშავა დიდი სამამულო თანის

დაწყებამდე, 4 კამპანია ჩატარა. მის შედმივ მონაწილეთა შორის, სხვებს გარდა, იუვნენ ისინიც, ვინც დილხანს განაგრძობდნენ ან დაემდე განაგრძობდნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებას სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო მეცნიერებაშიცანა, დიდი ხანია, თავ-თავის არქეოლოგოურ ექსპედიციებს უძღვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისინი უკვე ვატერანებად ჩაითვლებიან. მაშინდელ ექსპედიციაშიც კი, ორი შესანიშნავი ისტორიკოსისა და უფროსი კოლეგების ხელმძღვანელობით იწაფებოდნენ და იზრდებოდნენ: ან დრია აფატი იძე (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის წევრი), პროფესორები და ით კაპანაძე და შალვა ხიდაშელი; მეცნ. კანდიდატები ლევან მუსხელიშვილი (განთქმული ისტორიკოსი და მთხრელი არქეოლოგი, აწ განსც.), ვახტანგ ჯაფარიძე, დომენტი ქორიძე, სტეფანე მენ- და



სამთავროს ექსპედიციის წევრები (1938 წ.), მ. ივაშენკა,
გ. ლომიათოძე, ირ. ქავთაძე, დ. კამანძე, შ. ხიდაშელი,
ვ. გალაშიძე, ა. კალანდაძე, ს. მენოვაშვილი, ირ. ჭავაშვილი და სხვ.

თემაშვილი (აწ განსც.), თამარ აბრამიშვილი, სარაბარა ბარ-ნაველი, სარაბარა უკაძე, აგრეთვე გიორგი მჭედლიშვილი და სხვ. სამხატვრო-საარქიტექტურო, საფოტოგრაფიო და სარესტავრაციო საქმის უძღვებობის: ირაკლი ქავთარაძე, კლარა კვერციანი, იური ბახომოვი, ოლეა კიროვა, ნატალია ვასილივავა (აწ განსც.) და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპედიციამ შეკრიია და თავითონ საქმის ნამდვილ, ერთგულ ისტატებად გამოწვერონა მიწის მუშები—ათეულობით მცხოვრი თუ სოფლელი, სხვადასხვა ხნისა.

1940 წლის შემოდგომაზე ექსპედიციას მოუხდა, სამთავროს გარდა, კულტურული მიხედვა არმაზისხევის შესართავისაც და სწორედ იქ ხვდა წილად დღემსა სწორებოვარი წარმატება: გათხარა (ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით) ის ათოლე უმდიდრესი ქვის სამარხი, რომელთა შინაარსმაც და აგრეთვე ორმა ვრცელ-წარწერიანმა სტელამ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი მცხეთის ექსპედიციასაც და, საერთოდ, ქართულ არქეოლოგიასაც. საპოლოოდ გამოიჩინა, რომ იმ ადგილას მიწაში შემონახულა ნაშთები ახ. წ. I—III საუკუნეთა ერისთავების ანუ პიტიაშების რეზიდენციისა (სასახლე, ტაძარი, აბანო, მარანი), და საცვარეულო სამარხევი.

მძიმე ომიანობამ, რა თქმა უნდა, მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასაც შეუკუნებელი მიატოვებინა მუშაობა. მისი მონაწილეობი—ახალგაზრდა მცვლევარებიცა და მუშებიც—მეომრებად იქცნენ და ბევრი კიდევაც შეეწირა სამშობლოს თა-



სამთავროს განათხარზე ს. ჯაჭვია, კ. გამსახურდია, ა. კალანდაძე,
დ. ქარაძე, ა. გოგოაძე და სხვ. (1946 წ.).

ვისუულებისათვის ბრძოლას (ვ. გოგოაძი შეკვეთი, შ. ბერიძე დეკემბერი...). 1943 წლის შემოდგომაზე, ჩრდილო კავკასიოდან ქაშისტების განდევნის შემდეგ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (რომელიც იმთავითვე ყოველმხრივ დად ზრუნვას იჩინდა ექსპედიციის მიმართ) შესაძლოდ და საჭიროდ მიიჩნია, სხვების თუ არა, მცხეთის ექსპედიციის მუშაობის განახლება მაინც. ეს იყო არმაზისხევთან და ნაწილობრივ აგრეთვე ახალ უბანზე — ბაგინეთში. სადაც ჯურ კიდევ 1889 წელს ჩატარდა მცირე გათხრა, ხოლო 1940 წელს მცხეთის ექსპედიციის მზევრავი ჯგუფის უფროსმა ნიკო ღამბაშიძემ (აწ განსც.) მიაკვლია ოლილი ქვის ნაშენბის ნაშთს (მანვე შემდეგ მიაგნო ნაქალაქარ სარქინეს), ორთავე უბანზე მუშაობა ნაყოფირა გამოდგა. შედეგი — დამაიმედებელი და 1944 წელს უკვე ორი რაზმი მუშაობდა, უფრო ხანგრძლივ. ექსპედიციას 1943 წლიდანვე კვლავ აკად. ს. ჯაჭვია ჩაუტარა

სათავეში, მისი მოადგილე იყო გერმანე გობეჯიშვილი. ბაგინეთის რაზმის უცროსი — ა. აფაქიძე, არმაზისხევისა — აცტორი, ისევე გაგრძელდა მუშაობა 1945 წელს, ხოლო 1946 წლიდან ექსპედიციას კვლეული შემატა სამთავროს რაზმი, ომგადახდილი ა. კალანდაძის შემთხვეობის სამიერე უბანზე შინაარსიანი, დიდად ყურადღები ძეგლები იახრებოდა, მაგრამ განსაკუთრებით სენსაციური და არსებითად ახალიც გამოდგა ბაგინეთის რაზმის აღმინიარენი: ადრეანტიკური ხანის მონუმენტური „სკეტშიანი დარბაზი“, ქვა-თლიოდ-ალიზის „ზღვის და — 1946 წელს — მდიდრული საკუთავი, არმიანისხევის ერისთავთა განსახვენებლის სამარხთა მსგავსი ოქროულისა და ვერცხლის შემცველი, პირობით მეფის ასულისადმი მიკუთვნებული (ბაგინეთი ანუ არმაზულე სამეფო რეზიდენციად იქნა ადრევე მინიჭებული).

1946 წელს გართა აიცვალა მცხეთის ექსპედიციის ძევლი, ერთ-ერთი გამშლოლი მუშაკი მ. ივაშჩიკოვ, ხოლო 1947 წელს ექსპედიციამ — ისევე როგორც ისტორიის ინსტიტუტმა, მეცნიერებათა აკადემიამ და ქართულმა ისტორიულმა მცენიერებამ — დაქარგა დიდი მესვეური სიმონ ჯანაშია. მან, აკად. ივ. ჯავახიშვილთან ერთად, შეუდგინა გრენერალური პერსპექტივული გეგმა მცხეთის ექსპედიციას, წარმატებით უძლევბოდა მის განხორციელებას, წერთნიდა და ამზადებდა ახალ-ახალ მუშაკებს; დანერგა მტკიცე და მკაცრი მეთოდოლოგია, უძლესი პასუხისმგებლობა საქმისადმი, საღი პატრიოტიზმი და ენთუზიაზმი, თანამედროვე საბჭოური მცნიერებისათვის შესაფერისი სტილი მუშაობისა... ამ საქმისათვისაც დიდი დაწაკლისი იყო მისი წაადრევი სიკვდილი.

1947-1948 წლებში მუშაობდნენ მხოლოდ ბაგინეთისა და სამთავროს რაზმები, ხოლო შემდეგ მცხეთის ექსპედიციამ კარგა ხნით შეწყვიტა მუშაობა, ძალაუნებურად. 1948 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა შეცვალა არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი გეზი. ამის ერთ-ერთი მიზეზზი ისიც იყო, რომ მისი შემდეგ რესუბლიკაში ბევრგან გამშლილმა დიდმა მშენებლობამ უზვად მოიხოვა არქეოლოგთა ხელიცა და სახსრებიც, შემთხვევით გაშიშვლებულ ძეგლთა სასწრაფოდ გასათხრელად, მცხეთა კი ომაძლევე იყო გამოცხადებული ნაკრძალად და იქ ძეგლებს დაზიანება არ მოელოდათ. მანც უნდა ითქვას, რომ დასანანი ხარვეზი წარმოქმნა იმ წლებში, რომელიც მცხეთაში გაუყიდათ ქართველ არქეოლოგებს, ყოველწლიურად სულ უფრო მრავალიცხოვანთ და მრავალმხრივი გამოცდილებით აღჭურვილოთ.

1943-1948 წლებში ექსპედიციის მუშაკებს შეემატენ ახალგაზრდები: ვიორგი მელიქ შვილი (ამჟამად აკადემიური, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ხელმძღვანელი); თთარ ჯაფარიძე (ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი), მარგო ლორთქიშვილი იდე, ნინო უგრელიძე ტარიელ ჩუბინიშვილი, თეო სურაზე მიქელაძე და ტარიელ ტარიელ შვილი (ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი) და ლევან რეზელი შვილი (ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი) და ლევან რეზელი შვილი (ამჟამად სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგე) და სხვ.

1948 წლის შემდეგ ექსპედიცია ერთხანს ეპიზოდურად განაგრძობდა მუშაობას, ცალკეული რაზმების სახით. იმ „ეპიზოდური“ მეტადწე აღსანიშნავია: 1949 წელს დაბა მცხეთაში გვიანანტრიკური ღროის მდიდრული სამარხების გათხრა

(აღ. კალანდაძე); 1951 წელს სადგუროთან გათხრია იმავლროვლი დიდი შეკრე-
ლეუმ-ეკლდამისა (გ. ლომითათიძე, გ. ცეკი ტიტევი და ის და); 1953 წელს „დიდი შეკრე-
ლეუმ-ეკლდამისა“ შეერგა და წიწიმურის ჩახლობელ სერზე ანტიკური „სევსამურაჭაური“ წერტილი
თების გამოვლენა (ა. აფაქიძე); 1954-55 წლებში შიომღვიმის შიომღვიმის შიომღვიმის
ნაქალაქარ „სარკინეს“ ანუ „სარკინეთის“ ნაშთების გადახსნა და ანტიკური
ხანის ნაგებობათა თუ რეინის წარმოების ძეგლების გათხრა (ა. აფაქიძე, გ. ვა-
ბეჯიშვილი).



ბაგინეთის (არმაშციხის) ზღვიდის განახაზე.
ა. აფაქიძე, ირ. ციციშვილი

1957 წლიდან განახლდა მუშაობა (ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით) სამ-
თავროს სამართლოებრივ დრო და დრო წარმოებდა თხრა შიგ მცხეთაში
და ერთ წელს (1958) — მცხეთის სადგუროთანაც. იმხანად ექსპედიციას შეემატ-
ენ ახალი წევრები, რომელთაგან ახლა რამდენიმე საესპილო მოწიფელი შევდე-
ვარია (პროფ. ო. ლორთქილიძე, შეც. კანდ. რ. რამიშვილი, კ. უიტელაური,
ა. ბოხორიძე და სხვ.). განსაკუთრებით არის აღსანიშნავი 1958 და 1963—1967
წლების ნაშუშევარი მცხეთაში, რომელმაც მრავლად გამოავლინა ახალ-ახალი
სამართეული თუ ნამოსახლარი ძეგლები (მცხეთის გორაზე, „არაგვის კართან“,
სვეტიცხოვლის გარშემო და შიგ გაღავანში, სადაც მელქისედევ კათალიკოსი-
სადმი მისაკუთხებელი სასახლე გაითხარა, და სხვ.). ყოველივე ამან დიდად და-
აწინაურა გვიანანტიკური და ფუოდალური მცხეთის, როგორც ქალაქის შემეცნე-
ბის საქმე. რაც მანამდე მეტწილ სამართლოთა მიხედვით ხდებოდა და ამიტომ

ცალმხრივი იყო. 1967 წელს ნატარდა მეშვიდე, მცირე კაშპახია ბავშვითის (ა. აფაქიძე), სადაც 1948 წელს შემდგეგ თხრა არ ყოფილა.

1961 წელს მცხეთა მოექცა მეცნიერული ყურადღების პრეზიდენტის მიმღებად მე განსხვავებული, ისტორიულ-გეოგრაფიული განხრითაც. ისტორიული მეცნიერების ამ დარგის წინ წამომწევდა, ი. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის ხელმძღვანელმა აკად. ნიკო ბერძენიშვილმა მა ნამოაყალიბა „მთა ქართლის ექსპედიცია“, რომლის სამოქმედო არედ იქცა მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაჭიმული ქედი („არმაზისა“, „ქართლისა“) — უპირველეს ყოვლისა, ნინო წმინდის მთის თხემზე. საყდარს ირგვლივ შემოზღუდვილი, რომელიც არსებითად ჩვეულებრივი, რიგითი სამოსახლი გამოდგა, აღრეფეოდალური ხანისა



შცკონს სადგურთან აღმოჩენილი პრივატური ველდაშის
გამოულინების დამაწყისი. ნიკ. ბერძენიშვილი,
გ. ლამთაძე, ირ. ციციშვილი

(1961-62 წწ. ხელმძღვ. მთადგ. ა. აფაქიძე, გ. ციციშვილი და სხვ.). შემდეგ თხრა გადატანილ იქნა არმაზისხევის სილრმეში და სანგრისხევის შესართავთან (1963-64 წწ., ხელმძღვ. მთადგ. გ. ლამთაძე, რაზმის უფროსის ნ. უგრელიძე). არმაზისხევში გაითხარა XII და მომდევნო საუკუნეთა ნამონასტრუე-ნამოსახლარი და ანტიური დროის ციხე (ნაწილობრივ); მეორე უბანზე კი აღრეფეოდალური ხანის სამარხები და ნამოსახლარი. ამ უბანს იგივე რაზმი მიუბრუნდა 1967 წელსაც.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეავსო მეცნიერული წარმოდგენა მცხეთის არქეოლოგიური კომპლექსის შესახებ. შეიგ მცხეთაში თხრა ამჟამადაც წარმოქმდს (ა. კალანდაძე, ა. ბოხოჩაძე) და ახალ-ახალი ყურადღება-ლები ნამოსახლარი თუ სამარხეული ძეგლებით ამდიდრებს შევლი დედაქალაქის არქეოლოგიას.



30 წლის მანძილზე მეტ-ნაკლებ გაბმით მუშაობის შედეგად მცხოვრის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (მისამ ხელმძღვანელებმა და ათეულობით, სწორადასხვა თაობის წევრებმა) უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თავი ჩამოაყალიბა საქართველოს უძველესი და ძველი კულტურის ისტორიაში. მცხეთაში ვა-მოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების ხნოვნება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან გვიანდებულალურ ხანამდე მოდის, ე. ი. ოთხიოდე ათას წელიწადს მიმოსწოდება. ამრიგად, 40-იანდე საუკუნის მანძილზე ხერხდება გაკვლევა, მტკვრისა და არაგვის შესართავთან ჩასახული, განვითარებული და ბოლოს მძლავრ ქალაქად, ქართლის დედაქალაქად ქცეული სამოსახლოს თავეგადასაედისა; მისი (VIII საუკუნის შემდეგ) თანდათანობით დამცრობისა და მცირე დაბად ქცევისა. მცხეთის ისეთი ძეგლები, როგორიცაა სამთავროს სამარიოვანი, ერისთავთა რეზიდენცია არმაზისხევის შესართავთან, სამეფო რეზიდენცია არმაზიულება-გინერო, თვით მცხეთის ნამოსახლარი და სხვ. უკვე კლასიკურ, საეტალოონ ძეგლებად და ბერიოლიზაციის საფუძლებად იქცა საქართველო-კავკასიის და ეგებ საერთოდ წინა აზიის არქეოლოგიაში. აქ განსაკუთრებით შინაარსიანად არის წარმოდგენილი ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანაც და აღრევეოდალური ხანაც.

ამასთანავე ეს ექსპედიცია ნამდებილ სკოლად, მრავალი ყურადსალები თაოსნობისა და ნოვატორული ხერხების გამოვლინების სარჩეველად გახდა ქართველ არქეოლოგთა იმ თაობებისათვის, რომელთაც მოუხდათ მეცნიერული წერთნისა და თან ესტატეტის მიღება იყ. ჯავახიშვილის, ს. ჯავახიშვილის, გ. ნიორაძისა და ნ. ბერძენიშვილის თაობათაგან.

ექსპედიციის ნამუშევარ-აღმონარენი მრავალმხრივ აზრიანდებოდა, ქეუნდებოდა და დღესაც ქვეყნდება. უპირველეს ყოვლისა, აღსან შეავია იყ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას საგაზიონო ანგარიშები და სასესიო მოხსენებანი; მეორის ხელმძღვანელობით და ექსპედიციის მუშაკთა მონაწილეობით 1941 წელს მოწყობილი დიდი შინაარსიანი გამოფენა (ორიალეთურ განათხარებთან ერთად); თხრის უშუალო ხელმძღვანელთა — ა. კალანდაძის, მ. ივაშენკოს, ა. აფაქიძის, გ. გომეჯიშვილის, გ. ლომითათიძის და სხვ. — ვრცელი თუ საგაზიონო ანგარიშები და სასესიო მოხსენებანი; შემდეგ: ამ უკანასკნელის მიმოხილვითი ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძეგლ დედაქალაქში“ (ქართულად 1945 წელს, რუსულად 1955 წელს); კერ კიდევ ს. ჯანაშიას თაოსნობით დაარსებული სერია „მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“ (ტრამი I, „არმაზისხევის ძეგლები“, ა. აფაქიძის, გ. გომეჯიშვილის, ა. კალანდაძის და გ. ლომითათიძისა, ქართულად 1955 წ., რუსულად 1956 წ.); ა. აფაქიძის მონოგრაფია „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძეგლ საქართველოში“, (1963); მარგ. ლორთქიფანიძის ნაშრომები მცხეთური გეგმების შესაბებ (1954, 1956); 6. უგრელიძის მონოგრაფია „ადრეულ შესაუკუნეთა ქართლში შინას წარმოების ისტორიისათვის“ (1967); ტ. ჩუბინიშვილის მონოგრაფია „მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები“ (1967); მ. აბდუშელიშვილის სამთავროს სამაროვნის პალეოარქოლოგიისათვის“ (რუსულად, 1954) და

სხვ. — საქურნალო წერილები, განმაზოგადებელი ნარკეცების. მოთლილ წაწილობრივ არის გამოქვეყნებული ნაშრომები: ა. კალანდაძისა (სამრავროს სამართა ტიპოლოგიის შესახებ, 1941) და გ. ლომთათიძისა (სამთავროს უძრავულს, საზარხთა ბრინჯაოს სატევარ-მახელოთა შესახებ, 1944). მცხეთის ექსპედიციის მიერ მოპოვებული, სხვადასხვა ხანათა ნაირნაირი ძეგლები ფართოდ არის გაშუქებული ექსპედიციის უხუცესი წევრების — ა. კალანდაძის, ა. აფაქიძის და გ. ლომთათიძის ნაშრომებში. რომლებიც შევიდა ვრცელ დამზარე სახელმძღვანელოში „საქართველოს არქეოლოგია“ (1959), არ შეიძლება ცალკე განსაკუთრებით არ აღინიშნოს ჩვენი გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნების — აკადემიკოსთა გ. ჩუბინაშვილის მოპოვებული ოქრო-ვერცხლეულისა და გამოჩენილი ფილოლოგების — აკადემიკოსთა ა. შანიძის, ს. ყაუხჩიშვილისა და გ. წერეთლის — საქურნალო წერილები მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული თუ არამეულ წარწერების შესახებ და კერძოდ გ. წერეთლის წიგნი „არმაზის ბილინგვა“ (1941), ამ ნაშრომებში ფართოდ გაიხმაურეს და მრავალი მეცნიერული კამოძახილი აღმრეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც.

როგორც ვხედავთ, მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას არც თუ ცოტა რამე ჰქონდა შესაჯამებელი — და თან მომავალი, კვლავაც თავდადებული ენთუზიასტური შრომის ამოცანად დასასახველი — თავისი არსებობის მეორე ოცდაათწლეულში გადასვლისას.

ა რ ა გ ვ ი ს პ ა რ ი

(მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 30 წლისთავისათვის)

საქართველოს ქველი დედაქალაქის — მცხეთის — შიწაწყალზე გასული 30 წლის განმავლობაში წარმოებულმა საგანგებო არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და ისტორიის ზესწავლის საქმეში. 1937 წელს შექმნილი და დღემდე წარმატებით მომქმედი მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია¹ ფრიად მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კლევითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული ღონისძიება აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში. ექსპედიციის მიერ წლების მანილზე დაგროვებული დიდალი არქეოლოგიური ჩასალა (საცხოვრებელი, სამეურნეო, სამაგრო, სამარხეულ და საკულტო ნაგებობათა ნაშ-



მცხეთა, არაგვის ქანი. კარიბჭე ჩრდილო-დასავალითი

ოები, მდიდრული თე რიგითი სამარხეული ინკენტარი, საკმაოდ მრავალრიცხოვნი ცნობრაფებული ქეგლები და მრ. სხვ.) ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უძვირფასეს წყაროდ იქცა.

მცხეთის ექსპედიციის ამ მნიშვნელოვან მონაპოვართაგან დღეს მხოლოდ

¹ მთ შესახებ ის. გ. ლო მთათხ ძის საგანგებო წერილი იმავე ნოტიერში.



ମୁଖ୍ୟମନ୍ଦିର କୂଳାଙ୍ଗିଳି ପ୍ରାଚୀତାରେଲାଳ ରୂପାନ୍ତରାଜ୍ୟପୁରି ପଢା
(ଶ୍ରୀ. କୁମାରପାତ୍ର)

ერთ-ერთზე შევჩირდებით. ეს არის მცხეთის ტეკლი ქალაქის „ზღუდე-გაღამაური“ და მისი ნაშები. აღნიშნული „ზღუდე-გაღამაურის ერთ-ერთი ნაშთი ითხრებოდა კურ კიდევ 1957 წელს, როდესაც „მოგვთა ეკლესიის“ მახლობლად, მცენტრიწმინდაში ნაშენი ქვათლიობების სწორეულობა ბურჯი გამოვლინდა. როგორც შემდგომი სა-განგრებო კვლევა-ძიებით დადასტურდა, იგი ქალაქში სამხრეთის მხრიდან შემო-სასვლელის ანუ „მ ტ კ ვ რ ი ს კ ა რ ი ს“ აწ დანგრეული კარიბჭის ერთ-ერ-თი მობირეულებელი კედელი უნდა ყოფილიყო. 1958-1959 წლებში მცხეთის გორაზე, სასაფლაოს მახლობლად, ექსპლოიცია თხრიდა აღინის „ზღუდე-გაღამაუ-რის დასავლეთი კედლის სამხრეთ ბოლოს, დაახლოებით იმ ადგილას, საიდანაც კედელი აღმოსავლეთით უნდა მობრუნებულიყო და მტკვრის მარცხენა ნაპირის-




მცხეთა, არაგვის კარი, ნამოსახლარი და კარიბჭის ფრაგმენტი

კენ უნდა დაშვებულიყო. გაღაენის ეს (სამხრეთი) კედელი განივად გადაიკეთა და აღინის 13 აგურის სიმაღლის კედლის პროფილი გამოჩნდა 1961 წელს ვო-რის ქუჩის რეკონსტრუქციის დროს. იმავე წელს, არაგვის ქუჩისა და საქართვე-ლოს სამხედრო გზის შესაყარში მოთავსებული შოედნის გაფართოებისას, ი. ბ. სტალინის ძეგლის წინ, განივადე გადაიკეთა გაღაენის ჩრდილო კედე-ლიც. და მისი 6 მეტრიანი სიგანის პროფილი 2,5 მ სიმაღლეში აქაც კარგად გა-მოიკეთა. იგოვე კედელი გადაიკეთა, ოღონდ ამჯერად უფრო მაღლა, დასავლე-თით, შშრალი (მონასტრის) ხევის აყოლებით, იმავე, გორის ქუჩის ნიველირე-ბის დროს 1967 წლის შემოდგომაზე.

გარდა ამისა, უკვე კარგა ხანია მნახველთა და მკელევართა ურაღლებას იქცევდა აღინის აგურებისაგან უნებად ნაგები კედელი მცხეთის გორაზე, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის ნაგრევის მახლობლად, საღაც იგი კოდ-

მანისკენ მიმდევალ საურმე გზას პეტონდა გამორილი. ერთი სიტყვით, ამეამაღ ჩეუნ-
ოვის საინტერესო სამაგრო ნაგებობის ცალკეული ფრაგმენტები მის სხვადასხვა
ნაწილში ჩეუნთვის აღრევეც კარგად იყო ცნობილი. ამიტომ, ცხრილის მინდესაც
მცხოვის მშრალი ხევის პირზე ფართოეურანიანი კინძოდარბაზის „შენრებლობი-
სათვის მიწის სამუშაოები დაიწყო. მცხეთის წიაღისათვის დამახასიათებელ, აღ-
რე ცნობილ ძეგლთა გარდა, აქ ძეველი გაღავნის ნაშების გამოჩენაც იყო მოსა-
ლოდნელი. ასეც შობდა. 1965 წლის შემოდგომის პირზე, შენობის საძირკვლისა-
თვის გაჭრილ თხრილებში თავი იჩინა ქვეათლილების წყობამ. საგანგებო ძიების
შემდეგ გამოიჩინა, რომ იგი ქალაქ მცხეთის „ზღუდე-გაღავნის ფრიად მნიშვნე-
ლოვან ნაწილს ეკუთვნიდა. ორი არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში კარ-
გად გამოიჩინა ზღუდეში დატანებული კარიბჭე. რომელსაც, იმის გამო, რომ
იგი ქალაქის ქვეყნის ჩრდილოეთ მხარესთან აკავშირებდა, არაგვის კარი უკრი-
დეთ. (როგორც ჩანს, არაგვის კარი ამ ადგილას აღრევე ეწოდებოდა. მაგ. ჯუან-
შერი თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგაბალისა“, ამბობს: — „მაშინ არ-
ჩილ მეფებან აღაშენა ელევსია სტუან-წმინდისა მცხეთას. კართა ზედა არაგვი-
სათა, სადა იყვნეს კოშკი მტკიცენი საბრძოლი, რომელი მასვე აღაშენება“
(ფართლის ცხოვრება I, გვ. 140).)

სამართლის მიმოხილვა 117



მცხეთა, კარიბჭე, ნამოსახლარი, 1967 წ.

კარიბჭეს გაწმენდა-გამოვლინების დროს იახრებოდა მის დონეზე და უფ-
რო ღრმად მდებარე კულტურული უენები, რომლებიც ნამოსახლარისა და სამა-
როების ნაშენებს შეიცავდნენ. სამთავე ძეგლი (სამაროვანი. ნამოსახლარი, კა-
რიბჭე) ფრიად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის გვიანანტიკური და ადრეცენ-
დალური ხანის მცხეთის ისტორიის შესასწავლად ძვ. წ. I საუკუნიდან ვიღრე-
აბ. წ. VIII საუკუნის 30-იან წლებამდე, როდესაც წცხეთის ზღუდე-გაღავნი და

ოფიც ქალაქის მოსახლეობაც, უნდა ვითიქროთ, მტრის შემოსევისა და დაწევის საგანი განხდა).

ეხლა, როდესაც ქალაქის მომზღვდავი ალიზის კედლის მიმართულებში ჩამოყალიბები და მასში ჩაშენებული ორი ძირითადი კუნისტულის ადგილდებარეობაც ცნობილი გახდა, შესაძლებლობა გვიძლევა ძველი ქალაქის ზღვდე გალავნის კონტურები მეტ-ნაკლები სიზუსტით შემოვხაზოთ.

წევნის მიერ არქეოლოგიური მასალების მიხედვით გაკელეული მონახაზი ამ თავდაცეითი ნაგებობისა, ასეთია: ალიზით ნაგები გალავნის კედლი იწყება ნიდ, არაავის მარჯვენა ნაპირზე და მიემართება აღმა, დასავლეთით შშრალი (კ. ი. ჩინასტრის) ხევის მარჯვენა ნაპირზე, სამთავროს კელზე, ავტოსადგურის მახლობლად, ხევის გაგრძელება ხელოვნური თხრილით მოღოვდება. სწორედ ამ ნაწილში მდებარეობს ძველი ქალაქში ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი კარი.

ამრიგად გრძელდება ალიზის კედელი ხევის აყოლებით თვით მცხეოს კორამდე, რომელიც 30-მდე მეტრის სიგანის ხელოვნური თხრილით არის მოჭრილი და გამოყოფილი კოდმანის დავაკებიდან. სწორედ ამ ადგილას, გორაკის ზურგზე, რომელიც ალიზით ნაგებ გალავნის კედელს წარმოადგენს, ღლესაც არის შემორჩენილი წმ. ბარბარეს სახელობის კვლევის ნანგრევები. გალავნის კედელი აქ გორის ბოლომდე გრძელდება, შემდეგ უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფერდობშე ეშვება და არსენას ძეგლის მახლობლად მდ. მტკვრის ეჭვინება, როგორც ჩანს, აქ იგი უერთდებოდა მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირის გაყოლებით ალავა-ალაგ დღესაც საყმაოდ კარგად შემონახულ თლილი ქვის კედლებს, რო-ელიც, უნდა ვითიქროთ, ალიზის კედლის მაგირობას ეწეოდა მდინარის სანა-პიროს გასწროვ. ასეოთვე გათლილი ქვით ნაგები კედლები უნდა პქონდეს ქალაქს შდ. არაავის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც დღემდე აღმა შემოინახა. ამრიგად გალავნის შიგნით ექცევა საყმაოდ დიდი ტურიტორია, რომლის ფართობი 30—35 ჰეკტარის შეადგენს. იგი იყო ქალაქის ტერიტორია, მისი აკომოდი, გამარტებული ალიზის ზღვდით.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ქალაქის ზღვდე-გალავნში დატანებული კარი ანუ კარიბჭე აგებულია შემდეგი გეგმით, გალავნის ნ მეტრიანი სისქის კადელში დატოვებულია გარკვეული სიფართის ლიობი კარიბჭის გასამართვად.

გათხრების შედეგად ერთმანეთის მოპირდაპირედ და ერთმანეთისაგან 4,8 მ-ს დაშორებით თლილიერის ორი პარალელური წყობა გამოვლინდა, საბო-ლოოდ დადგნილი იქნა, რომ აღნიშვნული პარალელური წყობა თავის დროზე კარიბჭის კედლებს წარმოადგენდა. ამიტომ მათი კარიბჭის გამოსავალი კედლის პირი, ვითარცა გამოსაჩენა მხარე, ქვათლილითა მოპირკეობული, კედლის უკანა მხარე კი, რომელიც ალიზის ზღვდეს ეჭვინება, ჩვეულებრივი ნატები ქებითაა აშენებული. მაშასადამე, გათლილი ქვით ნაშენი კედლები წარმოადგენს ალიზის ზღვდებში ჩაშენებულ კარიბჭის კედლებს, მათ შირის დარჩენილი ლიობი კი, რომლის სიფართე 4,8 მ-ია, გზის სვევის ცუ განკუთვნილი. ჩვენამდე შემორჩინა გათლილი ქვების თითო რიგი. თავდაპირველებული მოპირკეობული კარიბჭის კედლის სიმაღლე 3—4 მ მაინც უნდა ყოფილიყო.

თლილი ქვით ნაშენ კედელში, შესასვლელიდან 0,4 მ დაშორებით, იატაკის დონეზე, ორთავე მხარეს ერთობორის პირდაპირ დატანებული აქეს ფოსო — ზომით 3BX32X30 სმ. აღნიშვნულ ფოსოებში გაყრილი უნდა ყოფილიყო დირუ.

რომელიც შიგნიდან ამაგრებდა კარებს. კარი ასაწევ-დასაწევი უნდა ჩოფილიყო. ჩვეულებრივი, გამოსალები ალაყაფის კარის არსებობა აქ საეჭვო ჩანს. მა არის ქალაპნის ის ქვა, რომელშიც ასეთი კარის ქუსლი იტრაალებდა. მეტორუ-მხრივ, საფრთხის დროს ასეთი კარი თავდამსხმელისათვის უფრო აღვიზუ-შემანებრევი იქნებოდა.

კარიბჭე გარედან გამაგრებული ყოფილა დამატებითი ნაგებობით, ხექტო-რის მოყვანილობის, აღიზის აგურით ნაშენი კოშკებით. კოშკები კარიბჭესთვ პირდაპირ აღიზის კედლის გასწერივ არის აგებული. ასე, რომ ქვათლილებით ნაშენი კედლები კარიბჭეში თავისი სისქით შიგნითაა შემოსული და, ამდენად, ოეთონ კარი გაცილებით ვიწროა, ვიდრე მანძილი კოშკებს შორის. სიფართე კოშკებს შორის შემოსასვლელში 6,9 მ, ხოლო თლილი ქვით ნაშენ კედლების დასაწყისთან 6,6 მ უდრის. ამრიგად, გალავნის კედელში დატოვებული ღიობა 6,6 მ, ხოლო თლილი ქვით ნაგებ კედლებს შორის მანძილი 4,8 მ. მაშასალა-მე, ორივე კედლის სისქე ერთად აღებული (6,6 მ—4,8 მ-1,6 მ. როგორც ჩანს, კედლები თანაბარი იყო და მათი სისქე 0,9 მ უდრიდა.



მცხეთა, არაგვის კარი, კარიბჭე სამხრეთ-აღმოსასვლელიდან

კოშკის იმ გვერდის სიგრძე, რომლითაც ის კარიბჭესკენ არის მიმართული— 6,65 მ, ხოლო ფუძისა, რომლითაც გალავნის კედელს ებჯინება, 7,5 მ შეადგენს. კოშკის რკალის სიგრძე 11,8 აღწევს.

კარიბჭეის დასავლეთ კედელს, როგორც გათლილი ქვით ნაგები კედლის, ისე თვით კოშკის შიდა კედლის გასწერივ გაუყვება ბორდიურით გამოყოფილი. მოკიდწყლული გზის დონიდან 0,1—0,15 მ შემაღლებული საცალფეხო ბილიკი, რომელიც ნატეხი და რიყისქვით ყოფილა მოყირწყლული. ბილიკის სიფართე კოშკის გასწერივ 1,8, ხოლო კარიბჭეის შიგნით 1,3 მ უდრის. ბორდურით გამო-

ყოფილი, შემაღლებული და მოკირწყდული ბილიკი ფეხით მოსიარულეთათვეს უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ჩენი ვარაუდით, ასაწევი კარი მძიმედ შეკედილი უნდა ყოფილიყო [და მეტა] სხვ აწევა მაშინ ხდებოდა, როდესაც ქალაქში ქარავანი, სხვადასხვა საჭიროს ჭრილიყო პორტი შედიოდა ან გამოდიოდა, სხვა დროს იგი დახურული იყო და ფეხით მოსი რელეთათვის მასში პატარა კარი უნდა ყოფილიყო დატანებული, რომელიც ჩენილობიან დროს ყოველთვის ღია იქნებოდა.

საურმე საქარავონ გზის სიფართო კოშებს შორის 3.75 მ, კარიბჭეში კი 3.4 მ. ასეთი სიფართის გზა სრულიად საქარავის იქნებოდა იმ დროის ტრანს-პორტისათვის. რაც შეეხება თვითონ გზას, იგი კარიბჭეში საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. გზა შესანიშნავადა მოსწორებული და მდინარეული ქვიშით მოკირწყდულ-მოსტებილი. ზღუდისა და აღმოსავლეთის კოშების შემორჩენილი სიმაღლე 2 მ უდრის. ალიზის აკურის კედელი, რომელიც კარიბჭეის დასავლეთ კოშეს დასავლეთის მხრიდან ებჯინება, 5 მ სიმაღლისა შემოიწახა, თვით კარიბჭეის დასავლეთი კოშეის სიმაღლე 3-5 მეტრს აღწევდა.

კარიბჭეის დასავლეთი კოშეი, პირვანდელი გეგმის მიხედვით, სრულიად ტოლიასია აღმოსავლეთის კოშეისა. შენებლობის დასრულებილან დოდხანს არ უნდა გაევლო, რომ ეს კოშეი დანგრეულა თუ შემოსულ მტერს დაუნგრევია, მაგრამ იგი მაღლ აღუდგენიათ. აღდგენის დროს კოშეის ძირში ჩამონაშალი მიწა არ გაუწმინდიათ და პირვანდელი შენებლობისათვის მომზადებული დონიდან 2 მ სიმაღლეზე, შენებლობის ტრადიციის მიხედვით, დიდრონიშ ქვიშა ქვის თლილი ქვები შემოუწყიათ; ქვების სისქეზე კოშეის ფართობი რიყისქვით ამოუცისიათ, მოუსწორებიათ და მას ზემოთ ისევ ალიზის წყობით კოშეი აუყვანიათ.

როგორც აღინიშნა, ზღუდე-გალავნის კედელი და თვით კოშებიც ნაგებია ალიზის აკურით; როგორც კედლისა, ისე კოშეისათვის წინასწარ მოუსწორებიათ მიწის ზედაპირი, რომელზედაც ქვაშაქვის ნატებების ქვაფენილი დაუგვიათ. ქვაფენილში, რომლის სისქე 0.3—0.4 მ აღწევს, მრავლადაა შერეული რიყისქვა, ღარისხებური და ბრტყელი კრამიტის, კერამიკული ჭურჭლის ნატებები და ზოგჯერ მთელი ჭურჭელი, არიგად მოუსწორებიათ, რის შემდეგ დაუწყიათ ალიზის აგურით კედლისა და კოშების შენებლობა.

ალიზის აგურისათვის სუსტა თიხას იყენებდნენ. მას ზელფნენ და შიგ ხშირ შემთხვევაში ნაჯახს ურევდნენ; როგორც ჩანს, აგურს ყალიბში აზადებდნენ, შეზე ფენდნენ და აშრობდნენ. ასე შემზადებულ გამოუწვავ აგურს სამშენებლო მასალად ხმარობდნენ. ამგვარი მასალისაგან აშენებული კედლისა და კოშეის სიმაღლე 6 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ამას უნდა მოწმობდეს შემორჩენილი კედლის სიმაღლე 6 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ამას უნდა მოწმობდეს შემორჩენილი კედლის სიმაღლე კარიბჭეის დასავლეთი კოშეის დასავლეთ მხარეზე, რაც 5 მ აღწევს.


ალიზის ყველა აგური ერთნაირი სიდიდისა არ არის. მათი სიგრძე 0.42—0.48 მ შორის მეტყობს, სისქე კი ყველას ერთი აქვს და 0.12 მ შეადგენს. ქვაფენილი, რომელსაც ზღუდე-კედელი ეყრდნობა, გარედან ზუსტად ალიზის კედლის გასწორივაა, ხოლო შიგნიდან — იგი გარეთა გამოწეული, ცოკლის მსგავსად, რომლის სიფართე 0.4 მ უდრის.

როგორც თხრის დროს დადასტურდა, გალავნის კედელი და კარიბჭე კოშე-

ბითურით ადრეული ხანის კულტურულ ფენებზეა დაფუძნებული. ასეთ კულტურული ფენა ძირითადად ორია — ნამოსახლარი და სამაროვანი რეგიონები

ნამოსახლარი შეიცავს შენობათა ნანგრევებს, სხვადასხვა იუნიტებსა და გვემის სათავსოებს; მათთან დაკავშირებულ მარნებს (ორ ათეულზე მეტი ქვედით), სხვადასხვა სახის მასალების შემცელ სამუშანეო დანიშნულების ორმობებს; ამავე ფენასთან უნდა იყოს დაკავშირებული გათხრილ ფართობზე გამოვლენილი ორი ქურა. ერთი მათგანი მოზრდილი ჭურჭლეულის გამოსაწვავად ყოფილა განკუთვნილი. ამ ქურის მხოლოდ ნაწილი ვაითხარა მასში ჩადგმული მოზრდილი, ორყურა დერგის ნარჩენებითურთ.

კურა ნაკვეთი. 1964



მეცნია. კარიბჭე. 1967 წ.

მეორე ქურა, რომელსაც ნავისმაგრარი მოყვანილობა აქვს. მომცრო ჭურჭლეულის და პატარა, მრგვალი ჭრაქების გამოსაწვავად ყოფილა განკუთვნილი. გაწმენდის შემდეგ მასში აღმოჩნდა 5 ჭურჭლელი და რამდენიმე ათეული ჭრაქი. გამოსაწვავად შეი ჩადგმული. ორივე ქურა იმ დროს დაუნგრევიათ, როდესაც მასში ჭურჭლელი ჰქონის გამომწვარი ყოფილა.

აღნიშნული ქურები, როგორც გათხრით იქნა დაღვენილი, მიწისზედა ჩააებობას წარმოადგენილი და თუ ნაგებობაში არ რყენენ გამართული, ზემოდან მაინც კრამიტით ყოფილან გადახურული. ამის დამამტკიცებული ჩანგრეული ქურების თავზე მრავლად აღმოჩნდილი ორივე ტიპის კრამიტი უნდა იყოს. იგი სიღილით, მოყვანილობით, დამზადების ტექნიკით ახლო დგას გვანანტიკური ხანის კრამიტებთან, თუმცა შეინიშნება ზოგიერთი განსხვავებაც.

ნამოსახლარის გათხრისას აღმოჩნდილი თხის მრავალგვარი ჭურჭლელი და ზოგი სხვა მასალა ახალ დამატებით ცნობებს გვაწვდიან აღრევეოდალური ბანის ნივთიერი კულტურის შესასწავლად.

სამაროვანი უშეულოდ ნამოსახლარის ქვეშაა მოქცეული. სულ გათხრილა 15 სამარხი. აქედან 3 კრამიტით შედგენილი საბაზისია, ერთი ორმოსამარხი. მო-ლი 11 შემთხვევაში მიცვალებულის დასაკრძალავად ქვევრია გამოყენებული კრამიტით შედგენილი სამარხები აღრევე გაუძარვით და მათში, გრძელი არეული წონჩხისა და რამდენიმე მონეტისა, არაუერი აღმოჩნდილა; ორმოში დაკრძალებულ მიცვალებულის წონჩხთან სამი მონეტა და მინის გურგლები აღმოჩნდა. რამდენიმე ქვევრი სხვადასხვა მიზეზის გამო დაინგრა და სამარხეული ინვენტარი დაიკარგა, ხოლო სხვა ქვევრებში, წონჩხებთან ერთად (ზოგიერთ ქვევრში ორი მიცვალებული ჩაუსვენებიათ), აღმოჩნდა თახის ფართოპირადან დაბალი ხელადები, ნაირი სახის ბრინჯაოს სამკაულები, ბრინჯაოსეუ სასაფეხქლე რგოლები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ნაირი სახის მრიები, მონეტები და სხვ. აქ აღმოჩნდილი, მიცვალებულის დასაკრძალვად გამოყენებული ქვევრები როგორითადად იმეორებენ სამთავროს კვლეულ ამავე დანიშნულებით გამოყენებული ქვევრების ტიპს.

განათხარი მასალის გათვალისწინება საშუალებას იძლევა მიახლოებით განხვაძევრით ძირითადი ფენების თარიღი, სამაროვანი ძვ. წ. I-ა. წ. I-II სს უნდა ეუფრონდეს, ნამოსახლარი IV-V სს, ხოლო ალიზით ნაგები ზღუდე-გალა-ვანი კარიბჭითა და მისი კოშებით V-VI სს ძეგლად შეიძლება მიეკინოთ, უფრო ზუსტი დათარილება ძეგლებისა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც დაწერილებით იქნება შესწავლილი მცხოვრილი კექსალიური კექსალიურის მიერ საანგარიშით წლების მანძილზე მოძეული მასალები.

როგორც უხედავთ, მცხეთაში ამ ბოლო წლებში ჩატარებულ მუშაობას არ-სებითი მნიშვნელობის შედეგები მოჰყავა. სათითაოდ თუ ავიღებთ, აქ გათხრილი სამაროვანისა და ნამოსახლარის ნაშების ტიპოლოგიურად მსგავსი და ქრის-ტოგორუჩად ტოლიცასოფანი ძეგლები მცხოვრის სიძველეებში აღრეც საკმაოდ კარგად იყო კრისტალი. შედარებით უკატ გილოზით კერამიკულ ნაკეთობათა წარ-მოების ნაშების, კერძოდ, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ღუმელთ აღნავობისა და საკრიო ხასიათის შესახებ. კიდევ უფრო შწირი იყო ჩვენი წარმოდგენა ძე-ლი ქალაქის თავდასაცავ-სამავრ ნაკებობათა ბუნებასა და გაურცელებაზე, და თუმცა ამ მუშაობის შედეგად ჯერჯერობით მხოლოდ V-VI სს მცხოვრის აკროპოლისა და მისი ციხე-სიმაგრის საერთო ხასიათი და გეგმარება გვაქვს გაულენული (უადრესი საფორტიფიციალური ნაკებობანი კიდევ მისაგნებია), მისი მნიშვნელობა მნიშვნელით დიდია. ამასთანავე თუ გაეითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მიკროუნდის გათხრაში შეიძიოოდე საუკუნის ფარგლებში ერთომეორის მონაცემები კულტურის ძეგლთა განვითარებისათვის თვალის გადევნების საშუალება მოგვცა, ეს მნიშ-ვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ზემოთ განხილულ ძეგლთაგან ყველაზე უკეთ, ცხადია, ყველაზე ახალგაზრდა ძეგლი-კარიბჭე არის შემონახული. ნ მ სისქის აღიზის კულელი. ჩასზე მიშენებული კარიბჭის ორივე ბასტიონი. ამათ შორის მოთავსებული მოკირწყლული ქუჩა და ქალაქში შესასვლელის ქვათლილებით ნაგები კედლის ნაშები, თავისი მონუმენტური ხასიათით მნიშვნელზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს არის ბედ-ნიერი შემთხვევა, როდესაც საშუალება გეგმლება 1500 წლიანი ხანდაზმულობის შემდეგ უშეულოდ კვერტდეთ ჩვენ წინაპართა დიდი საშენებლო ხელოვნე-

ბის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა გადა-
წყვეტილება მისი დაცვა-შენახვის აუცილებლობის შესახებ. ფართოებისანი
კინოთეატრის ტიპიური პროექტი ინდივიდუალურით შეიცვალა აზაფი პროექ-
ტის (ავტ. გ. ჯაბუა და სხვ.) მიხედვით კარიბჭე მაღალ სკუტებზე დაყრდნობილ
მაყურებელთა დარბაზის ქვეშ უნდა მოექცეს, ისე, რომ ძეგლის დათვალიერება
ყოველი მხრიდან დაუბრკოლებლად შეიძლებოდეს.

ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ
ବ୍ୟାକାରୀଙ୍କ



ମାତ୍ରମ୍ ପଦିକାଶିପାଲ

ବ୍ୟାକାରୀ କୁଳିଶ୍ଵରଙ୍ଗଠନ
ପ୍ରକାଶ-ର୍କ୍ଷଣିତନ୍ତ୍ରପ୍ରକାଶ ଉତ୍ସର୍ଗିକେ ଅନୁରୂପବ୍ୟାକାରୀ

5060 ხომალია
ოთარ ლილიაშვილი
ჩესოდან ფუთურიძი
იქ. ფასხუმელის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ვანის არქეოლოგიური ექსპლიციის მონაკვეთი

ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა, უცრადლება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიქცა, 1947 წლიდან ვანის სისტემატურ არქეოლოგიურ შესწავლას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით.

1963 წელს დროებით შეზყვატილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ვანში კვლავ ვანახულდა 1966 წელს.

1966 წელს ჩატარებული მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შედეგია კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოჩენა. 1967 წ. არქეოლოგიური თხრა გაგრძელდა კარიბჭის აღმოსავლეთით მდებარე ნაკვეთზე. გამოვლინდა



ვანი. კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი

და 18 მეტრის სიგრძეზე გაითხარა გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუდელი. უცრადლებას იქცეს ედლის საფასადო პერიოდის დამუშავება. იგი დადი ზომის (50×50×30 სმ., 50×40×30 სმ.) ქვათლილებითა ამოუვანილი. ამასთან თვითეუ-

ლი ქათლილის კიდევ ბი საგანგებოდაა ჩამოთლილი, ხოლო მათ შორის დარტე-
ნილი და წინ გამოზიდული ბალიში ჭყვეტიანი იარაღითაა დაკავშირილი. ამინდად
რველ კოლხეთშიც ფართოდ ყოფილა გაერცელებული ე. წ. რუსტებრიან ქათლი-
ლები, რომელიც სიმაგრესთან ერთად განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა უა-
ფასადო კედლებს. გალავნის კედლის გარე და შიდა პერანგებს შორის სივრცე
უწესრიგოდ გათლილი თირის ქვებით (ზოგირთი მათგანი ცეცხლისაგანაა გა-
წიოთლებული), დიდი ზომის რიყის ქვებითა და თიხითაა ამოვსებული. ეს კედლელი
იმავე სისქისაა (2.7 მ). როგორც კარიბჭის ძირითადი ჩრდილოეთი კედლელი, იმა-
ვე ხაზეა განლაგებული და ნახევარწრიულ კოშკთან ერთად (1966 წელს რო-
მაა აღმოჩენილი) ქმნის გამაგრების ერთიან სისტემას. რომელიც აღრეულინის-
ტურ ხანაშია აგებული და ძვ. წ. I ს. დანგრეული. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედ-
ლის ამოვენისას, მშენებლებს ზო-
გირთ ადგილას ჩატყრიათ აღრე-
ანტიკური ხანის მასალების (ძვ. წ.
V ს. კოლხებრი სასმისი. ანტიკური
შავლაკიანი კილიყის და სხვ.) შემ-
ცვლელი მკერივი ყვითელი ფერის
თირნარევი ფენა.



გალავნის ჩრდილო-დასავლეთ
კედლელთან ახლოს ექსპედიციამ გა-
მოავლინა კიდევ ერთი, საქმაოდ
დიდი ზომის ნაგებობა, რომლის
აზეროლოგიური შესწავლა ჯერ კი-
დევ არაა დამთავრებული. ნაგებო-
ბის კედლები კარგად დამზადე-
ბული ქათლილებითაა ამოვენი-
ლი, ხოლო კედლის ზედა რიგები,
როგორც ჩანს. გამომწვარი ალიზის
აგურებით ყოფილა შედგენილი.
ყურადღებას იქცევს ძლიერი ხან-
ძრისა და ნერევის მანიშვებელა
ნაშთები: დამწვარი ხის ძელები,
თუ სახურავის კოშები, იატაზე
ჩამოვარდნილი კრამიტები და ალი-
ზის აგურები, ცეცხლისაგან გა-
დამწვარი თიხის ჭურჭელი და
თითქმის წილად ტელური ნივთები
იატაზის დონეზე და კედლის ნანგ-
რევებში ნაბონი საგნებიდან გან-

საკუთრებულ ინტერესს იწვევს სამჭედლო იარაღები (რკინის მარწუხი და სხვ.).
შენობის გარეთ კი ძვ. წ. II-ს ს. წითელი და შავზედაპირიანი კოლხური ქვევრე-
ბია აღმოჩენილი. საგანგებოდაა აღსანიშნავი აგრეთვე. გალავნის კედლთან
ქვის ჭურვების სიმრავლე. რაც გარკვეულ თავდაცვით სამზადისზე მიუთითებს
და თავისებური ილუსტრაციაა იმ მღელვარე მოვლენებისა, რომლითაც აღსავსეა



ଅକ୍ଷ୍ୟାଲୋଚନା ମହାମିତ୍ୟାରୀ ଗଣନା

06369
06369



06369
06369

ძ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის კოლხეთის ისტორია (მითოდატე ვI ცვე-
ტორის დაბყრობითი ომები). რომაელთა ექსპანსია, ბოსფორისა და პერგამის მე-
ფეთა შემოსევები), მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების მღმღნებია ||
ლი კარიბშის კომპლექსიდან სამხრეთ-დასავლეთით 150 მ დაცილების მდებრის ეს
რე ნაკვეთზე. აქ სამი სხვადასხვა დროის კულტურული ფენაა დადასტურებუ-
ლი. უძველესი ფენა ძ. წ. V ს. კერამიკული მასალითაა წარმომდგენილი: აღრე-
ანტიკური ხანის კოლხერი ქვევრის, სასმისის, ყურმილიანი დოქის, აგრეთვე
ჭულგამობერილი ქიოსური ამფორის ნატეხები. ძ. წ. III საუკუნეში ამავე ადგი-
ლას ალუმინართავთ რაღაც ნაგებობა, რომელის იატაკის ფრაგმენტია ჯერჯერობით
მხოლოდ გამოვლენილი: კლოდიუნ ფირჩე საგანგებოდა დაფუნილი დახახლოვე-
ბით 10—12 სმ სისქის თიხხარი ფენა. რომელიც ჩაყრილია რიყის წერილი ქვე-
ზი. ხოლო ზემოდან მოლესილია დანაყოლი კირქვითა და კერამიკის ნარევით, ამი-
ტომ იატაკი წითელი ფერისაა. ესაა საქართველოში აღმოჩენილი, ჯერჯერობით
უძველესი ე. წ. პიდრავლიკური იატაკის ნიმუში. ძ. წ. II ს. (უფრო მის მეორე
ნახევრში), იმავე ადგილას ახალი ნაგებობა შენდება, რისთვისაც შემნებლებს
იატაკის დონის ასაწევეად ახალი და ძველი ნაგებობის იატაკებს შორის სიტრცე
თიხხარი მიწით ამოუვსიათ. ამ თიხხარ მიწაში ნაპოვნია რკინის დიდი ურნალი
(1,05 მ სიგრძისა), რომელიც როგორც ცნობილია, ელინისტურ სამყაროში კედ-
ლების დასამგრევად იყო განკუთხილი.

ძ. წ. II საუკუნეში აგებული შენობა წარმოადგენს აღმოსავლეთასაკენ წა-
გრძელებულ სწორკუთხა ნაგებობას, რომლის პარალელური (ჩრდილოეთი და
სამხრეთი) კუდლების სიგრძე დახახლოებით 13 მეტრია. ხოლო დასავლეთი კედ-
ლისა — 5 მ. კედლების წყობაში თვალსაჩინო განსხვავება შეინიშნება: სამხრეთი
და დასავლეთი კედლები უსწოროდ გათლილი თირის ქვებითაა ამოყანილი (შე-
საძლოა ეს კედლები უფრო აღრე წითელი ფერის იატაკიან ნაგებობას ცურვნი-
და), ხოლო ჩრდილოეთ კედლებს ჰქონის საგანგებოდ ჩამოჭრილი თირის კლდე.
რომლის მხოლოდ ერთი ნაწილია ქეთალილებით მოპირკეთებული, ამასთან ქვა-
თლილებიც სხვადასხვა ზომისაა და, რაც მთავარია, სხვადასხვაგვარადაა დამუ-
შაგებული (ზოგიერთი რუსტიანიცა). ამ ნაგებობას შესასვლელი აღმოსავლე-
თიდან უნდა ჰქონდა, მაგრამ ეს ნაწილი საგრძნობლადაა დანგრეული და მისი
შესწავლაც არაა ჯერ დასრულებული. ნაგებობის დასავლეთ ნაწილში სწორ-
კუთხა პოსტამენტზე მდგარი მრგვალი სეიტი — საკურთხეველია აღმართული.
იატაკი მოზაიკური ყოფილა (კირსხნარით შეკრული თეთრი და ღია ვარდისფერი
თავშაცვეთილი რიყის ქვეში), მაგრამ მთლიანად დანგრეულია ისე. რომ საგანგე-
ბოდ აყრილსა და ამობრუნებულს ჰგავს. მოზაიკური იატაკის ნაგრევებში აღ-
მოჩენილია ორმოცამდე ჩამისხერული კოლხერი ამორია და ერთი ქვევრი. იქვე
ნაპოვნი 120 სპილენის მოწეტა. ამას გარდა, ნაპოვნია რკინის სასაკმევლე, რო-
მელაც ორი ნაწილისაგანაა შედგენილი: „ჯამისა“ და დაფანჯრულებლიანი კო-
ნუსური ქუდისაგან. „ჯამის“ კალთები, როგორც ჩანს, მოპირკეთებული ყოფი-
ლა ბრინჯაოს თხელი ფირფიტით, რომელიც მდიდრული ნატეხილი სამყაროი-
თა მორთული (ოვები და „მარგალიტები“, ვარდულები, მცენარის ფოთლოვანი
ღერიები, ფრინველის გამოსახულებანი). კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და, შეიძ-
ლება ითვეას, გასაოცარიცა იქვე ნაპოვნი უზარმაზარი ბრინჯაოს ჭურჭელი.
სამწუხაროდ, თვით ჭურჭლის ტანი ცეცხლისაგანაა ქლიერ დაზიანებული და

დეფორმირებული. სამაგიეროდ, თითქმის მთლიანადა გადარჩენილი შისკ სკულ-პრეზენტი მორთულობა. ჭურჭელი, როგორც ჩანს, დღა ურინველყოს ("უწივული?") ბრძყალებიანი კლანგების გამოსახულებაზე (ასეთი „კლანგი“ უწევს ჩაპრეზი). ამავე ჭურჭელს ამჟობდა ბრინჯაოსგანვე ჩამოსხმული არწივის სამი გამოსახულება. დიდებულია სამივე ქანდაკება — ფრთაგაშლილი არწივები, რომელთა თეოდეზული დეტალი (ნისკარტი და ოვალები, განსაკუთრებით ბრმზული და ლონიერი ქვედა კიდურები) დიდი მხატვრული ოსტატობითა და დამუშავებული ჭურჭლის მოსართავ ნაწილებს უკუთვნის აგრეთვე ექვსი პორტლიეფური გამოსახულება, რომელიც მეღვინეობა-მეცნიერობის ღმერთის — ღიონის წრის ლუთაებებს გამოხატავს. ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია 25 სმ სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც გამარჯვების ფრთოსან ქალღმერთს — ნიკეს გამოსახავს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ქალღმერთი სწრაფად ეშვება ზეცილან გამარჯვების მაცნედ და მაუწყებლად. მას ამაყად გადაუგდია უკან თავი, რომელსაც ნაშად ვარცხნილი თმა უმშვენებს. ქალღმერთის მოხდენილ ტანს მოსაქს დიდებული კვართი, ხოლო მისი მოსახხამი ქარისგანაა გაფრინალებული. სამისელის თეოდეზული ნაოში შესანიშნავადა შეხამებული ქანდაკების საერთო რიტმიან, დაუკოებელ და უსწრაფეს მოძრაობას რომ გამოხატავს. რაც აგრე დამახასიათებელია ელინისტური ხანის ნიკეს ქანდაკებისათვის.

ზემოთაღწერილი ნაგებობის არქიტექტურული გეგმა (განსაკუთრებით საკურთხეველი) და აქ აღმოჩენილი ნივთები, რომელთა ერთი ნაწილი სარიცხვიად აშეარად შეწირულებას წარმოადგენს. აგრეთვე სასაკმევლე, მოწმობას. რომ აქ საშემე გვაქვს საკულტო-სატაძრო ნაგებობასთან (სამღლოცველო). სტრატიგია-ციული მონაცემებით ეს ნაგებობა ძვ. წ. II საუკუნეშია (უფრო მის მეორე ნახევარში) აგებული და ძვ. წ. I საუკუნეში ქალაქის დანარჩენ ნაწილებთან ერთად დაანგრეული. ძვ. წ. II—I საუკუნებისა იატაკის ნანგრევებში აღმოჩენილი არქიტოგიური მასალებიც: ამფიოდრი, ქვევრები, მონეტები, ბრინჯაოს ჭურჭელი.

1967 წელს ექსპედიცია შეუდგა აგრეთვე ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთი ფერდობის შესწავლას. ჯერ კიდევ კარიბჭის კომპლექსის არქეოლოგიურ გათხრისას, კულტურული ფენების ზედა პორტონტენტში წინდებოდა მთელი წევბა დიდი ზომის ქვათლილებისა და ცალკეული არქიტექტურული დეტალებისა (მარმარილოს კარნიზები, ჰიდრიის ტიპის დეკორატიული ჭურჭელი და სხვა), რომელიც სრულიად აშეარად ზემოდან იყო დაცურებული და ეკუთვნოდა ამ პლატოზე მდგარ ნაგებობათა კომპლექსს. 1967 წელს ამ ტერასის ჩრდილო ნაწილში ექსპედიციამ გამოავლინა გაღავნის კედელი, რომელიც ამ უბანზე განლაგებულ ნაგებობათა დაცვას ემსახურებოდა. აღმოსავლეთ ფერდობზე, დაახლოებით 60 მეტრის სიგრძეზე აღებულ იქნა კორდოვანი შრე და პემზირებული ფენა, რომლის ქვეშ გამოვლინდა სასიმაგრო კედლის ცალკეული ნაწილები და ნანგრევები (ცალკეული ქვათლილების უმრავლესობა ცეცხლისგანაა გაწითლებული). ამასთან კარგად ჩანდა, რომ ეს კედელი (ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელი ეტაპისა) სასწრაფოდ იყო დაშენებული (ყველგვარი მომზადების გარეშე თიხნარ ფენაზე, რომელიც თავის მხრივ, რამდენადმე უფრო აღრე აგრეავდე მძღვანელი ნერვევისგანაა წარმოქმნილი. ამ უნაში მრავლად გვხვდება სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, უპირატესად პროფილირებული კარნიზის ნაწილები. საგანგებოდაა აღსანიშნავი თეორი კირ-





雲南民族博物館
藏書

ქვისაგან გამოკვეთილი ნატურალური სიღილის ლომის თავის გამოსახულებაში რომელთაგან ერთი შენობის დეკორატიული მოსართავია. სოლო დანარჩენი რი — ფრონტონის დამაგვირგვინებელი სიმა უნდა იყოს — წევიმის წყლის ზე დინრად განკუთვნილი, თანაც ადრეელინისტური ხანის ნაგებობისა, რომელიც იყ. წ. I საუკუნეშია დანგრეული. ყვითელ თიხნარს მოსდევს დამწვარი ფენა. რომელიც შეიცავს ძვ. წ. III—II სს. მასალებს (მათ შორისაა კნიდისა და როდოსის დამრაინი ამფორის ნატეხებიც). ამ ფენას უკავშირდება მთელი წყება ნაგებობებისა, რომელთა ფრაგმენტებია ჯერ-ჯერობით მხოლოდ გამოვლენილი. ამ კედლების საძარკვლის დონეზე დაბლა თავს იჩენს უკეე ადრეელინისტური ხანის საკმაოდ მძლავრი (საშუალოდ 1.2 სისეის) ფენა, რომელშიც გვხვდება ძვ. წ. V—IV სს. კოლხური ქვევერების, სასმისების, ჯამების, აგრეთვე ანტიური შავლა-კინი კერამიკის ნატეხები. გამოვლინდა ამ დროის კედლებიც. რომელიც თეთრი ფერის ქვებითა ნაგები. ესაა პირველი შემთხვევა ვანში ამ ხანის ქვის ნაგებობათა აღმოჩენისა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიქმეული მოსაზრება. რომ კოლხეთში საქალაქო ცხოვრება უკვე იყ. წ. I ათასწლეულის შეუ ხანებში იწყება.

ამრიგად, ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე გავლებულმა თხრილებმა დაადასტურა წინასწარი ვარაუდი, რომ იგი ძველი ქალაქის ერთ-ერთ კედლაზე უფრო მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს. ექსპედიციის ერთ-ერთი უმთავრესა ამოცანაა ახლა ამ უბის ცართოდ შესწავლა და მიება იმ ოდეს-დაც გრანილოზული და მდიდრულად მორთული ნაგებობისა, რომელსაც ეკუთ-ხოდნენ ზემოაღნიშნული მონუმენტური სკულპტურები და სხვა არქიტექტურული დეტალები.¹

1 ესის აჩქოლოგიური ექსპედიციის წარმატებას დიდად შეუწიო ხელი რაონის გვრა-მელთა აქტიურია მთავარებრივ და უოკელ-ჰუოკელის ღიამშენებლი. ექსპედიცია სამკედლობრივ შემთხვევით და გულითად შადლობის მოასერებს პარტიის ვანის რაონულ კამიტეტს და რაო-საბჭოს აღმისევშ, რაონის კედლა შემოშევს დიდი ურალულებისა და მხარდაჭერისას.

დაცისათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი
არქეოლოგიური ძეგლები ძაღლები

(ტირიფონის ცელშე შემთხვევებით აღმოჩენილ
არქეოლოგიური ძეგლების გამო)

ქართულმა საბჭოთა არქეოლოგიამ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში
შეტანილ საინტერესო აღმოჩენებით ფართოდ გაუფეხა სახელი ჩვენს უძველეს
უძლტურას, ჩვენი შორეული წინაპრების მიერ ისტორიული განვითარების სხვა-
დასხვა ეტაპზე შექმნილ ბრწყინვალე შემოქმედებას.



ბრწყინვას თოხები

არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების დაცვა-გადარჩენისა და მოვლა-
პატრონობის საქმეში ღილი წვლილი მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს.
მასწავლებელი, მოსწავლე, კოლეგიურნე თუ მოსამსახურე ღილი ყურადღებით
ეყიდება არქეოლოგიურ აღმოჩენას — მცირეა იგი თუ ღილი; აცნობებს ამის შე-



ବିଲକ୍ଷଣମୁଖ ବିଜୁଳି ହିଂକରାଦାରଙ୍କ ପ୍ରକରଣରେ ଉପରେ ଏହା ଶାସନପତ୍ରରେ



ବାନ୍ଦଗର୍ଜୁଳୀମେ ରିପ୍ରୋଟ କରାଯାଇଥାଏଇ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କାର

ବ୍ୟାକ୍ତିକ ନାମ ଗାଁ ଗାଁଲାଦାରିପାଇଅନ୍ତର୍ମିଳିଙ୍କ



სახებ სათანადო დაწესებულებას. ამით იგი დახმარებას უწევს მკვდევარებს ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ უდიდეს კეთილშობილურ საჭმეტე მომზადება; არქეოლოგური ექსპრესი როგორც ისტორიული ძეგლები — თითოეული მოქალაქის საზრუნავი საქმე უნდა გახდეს.

შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს შიდა ქართლში, ტრიტონის ველზე, კასპის რაიონის სოფელ გამდლისწყაროს მიდამოებში ნაპოვნი სპილენძ-ბრინჯაოს ბრწყინვალე ნაკეთობანი, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

1966 წლის ივნისში ხოუ. გამდლისწყაროს მცხოვრებმა ჭ. ხალაშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს აცნობა მათ სოფელში შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ.

აღმოჩენის ვითარების შესწავლამ და მასალების თავმოყრამ ცხადი გახადა, რომ ჭ. ხალაშვილმა დალუბვისაგან გადაარჩინა დიდობის შენელოვანი განძი.

ძეგლ წარმოადგენს მცედლის (მდნობელის) განძს. იგი ხელოსანმა როგორც ჩანს, საშიშროების დროს დამალა, დაულა მიწაში. განძი ძვ. წ. — I ათას-წლეულის საწყისი ხანისაა. მდნობელთა და „მოვაჭრეთა“ განძების აღმოჩენის საკმაოდ ბევრი ფაქტია ცნობილი ისტორიული ქართლისა და განსაკუთრებით, კოლხეთის ჭარში მის მთის წინა ზოლსა და მთიან აღვილებში.

განძების დამალვას მასობრივი ხასიათი ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს პერიოდში მოღლია, განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე.

ჯერჯერობით ყველაზე ადრეული და საინტერესო განძი, რომელიც ძვ. წ. XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდება, ჩვენთვის, ცნობილია ურეკიან. შემწინეულია, რომ განძების შემადგენლობა იცვლება ისტორიულ განვითარების თითოების ყოველ განსაზღვრულ მონაცემთში. ეს საცურადლებო ფაქტი დაკავშირებული ჩანს ლითონის წარმოების განვითარებასთან და სამურნეო ცხოვრების სწრაფ აღმავლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადრეულ ეტაპზე სამოადნო წარმოება — მაღნის ამოღება-დამუშავება პრიმიტიულად ხდებოდა, მაინც საჭირო რაოდენობით იღებდნენ მას, ადნობდნენ და ზოდების საბით აწვდიდნენ სახელოსნოებს.


მომდევნო პერიოდში მელითონეთა შრომა დიურენცირებული ჩანს, სამუზეული იარაღის მკეთრები ისტატები, მხოლოდ იარაღ-საჭურველს აკეთებდნენ; ისინი მზა-მზარეულ ლითონს დებულობდნენ მაღნის მდნობელებისაგან, ხოლო ამ უკანასკნელებს მასალას აწვდიდნენ მაღნის მონერები.

სწორედ ეს ფაქტორი იყო ერთ-ერთი მიზნენელოვანი პირობა ლითონის წარმოების აღმავლობისა — სპილენძ-ბრინჯაოს ნივთიერი მასალების როგორც რიცხობრივი, ისე თვისობრივი ზრდისა.

იარაღ-საჭურველთა მრავალფეროვნება და რიცხობრივი ზრდა გაპირობებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე მეურნეობის ხასიათი, მისი ზრდით. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მევენახობა და მებალეობა მოითხოვდა წარმოების განსხვავებულ იარაღებს; ხშირი ბრძოლები თუ ნადირთა ხოცვა-ელეტვა — სულ სხვა ხასიათის იარაღ-საჭურველს.

გამდლის წყაროს განძი ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ

ძვირფასია ასეთი მასალები ჩვენი უძველესი წინაპრების ყოფა-ცხოვრებით და კულტურის მიახლოებით მაინც შესწავლისათვის. ნივთების ღიღი ნაწილი სამეურნეო დანიშნულებასაა, და ამდენად საშუალება გვიძლება თვალყური მოვა-დევნოთ იმდროინდელ აუამიანთა საარსებო საშუალებების მაწარმისტერულ მარტივ დებს, იმას, თუ რითა აძუშავებდნენ მიწას, რა შეეძლოთ მოეყვანათ და რითა ცხოვრობდნენ ეს ადამიანები. სამეურნეო იარაღებს შორის თოხებს წამყვანი ადგალი უჭირავს, ისინი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი; აღმოჩენილ თოხებს შორის შეიძი სწორტანიანი, განიერ და მომრგვალებულმირიანია.



პირველი ცეკვერტის სამეურნეო იარაღები

ეს თოხები ძირითადად ნიღბავის პირველადი დამუშავებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, და ისინი ყველაზე მეტი რაოდენობით იმერეთსა და რაჭაშია აღმოჩენილი, ულრო ნაკლებ — გურია-აჭარაში და სრულიად არ არის ნაპოვნი სამეგრელოს ტერიტორიაზე. განძირი ხუთი ფართო პირიანი, წელში მეტ-ნაკლებად მოხრილი თოხია. ასეთი იარაღები ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა გურია-სამეგრელოში, იმერეთსა და ჩატა-ლეჩეშვილში. რამდენიმე ცალია ტრაპეციის ფორმის თოხი, ეს თოხები ზემოთ აღწერილი იარაღებისაგან იმით

განსხვავდებიან, რომ მათი გვერდები სწორხაზობრივად, მეტ-ნაკლებად დაქმუშავდება. მათთვის არ არის დამახასიათებელი არც ტანის მკვეთრად მოხვეულობა, არც სამშაო ნაწილის მკვეთრად მოხვეულვა. თოხების ეს სახეობა, შედევრებით დიდი რაოდენობით აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. მიწის დასახურებელი იარაღების (თოხების) ეს მრავალფეროვნება და სიმრავლე აშეარად გვაცარაუდებინებს მათ დისერენცირებულ გამოყენებას და ამდენად სხვა მრავალ მონაცემებთან ერთად მიუთითებს მიწათმოქმედების შედარებით მაღალი კულტურის არსებობაზე შიდა ქართლის ამ ცენტრალურ რაონში — თანამედროვე ტირიფონის ველზე.

ცალკე ჯგუფად გამოყავით თოხისმაგვარი იარაღების ერთი ჯგუფი. ასეთ იარაღების ნაწილს უკანა პირზე წიბიურები დაუყვება. ანდა თვით იარაღია სქელტანიანი. მათ თოხებისაგან განასხვავებს სატარე ხერელის სიმცირე. ამ ჯგუფის იარაღებს ზოგიერთ სხვა მცვლევართან ერთად სახელოსნო-სალურელო იარაღაღ-ზელენიოდ მიეკინევთ. ამ მოსაზრების სისწორეს რამდენადმე მთარს უჭირს მათი ქიმიური ანალიზის შედეგებიც.

განძის შემადგენლობაშია აგრეთვე ნამგალი.

დიდი რაოდენობითა ეკრეთწოდებული სეგმენტისებური იარაღის ის სახეობა (დიდორნი მაღალპირისანი ცალები), რომლებიც, როგორც ფიქრობენ, აგრეთვე მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული და მათგან ნაწილი შესაძლოა ბარის ფუნქციის შემსრულებელი იყო. საინტერესოა წალდის ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტი. არქოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბრინჯაოს წალდი კოლხეთის განსაკუთრებული რაონისათვის — მისი ბარისათვის ყოფილა დამახაიარებელი. იგი გეხვდება მხოლოდ და მხოლოდ აჭარა-გურიისა და ნაწილობრივ იმერეთის დაპლობის საწარმოო მეტალურგიულ რაონებში.

ცული სამია, ყველა კოლხერი წარმოშობისა (ჩეენი კლასიფიკაციით III და IV სახეობა და IV; ქვესახეობა).


III სახეობის ნაკლელი ცული რამდენადმე განსხვავდებულია ამ სახეობის ცულების ძირითად ვარიანტთაგან. მას სატარის ზედაპირი აღმურვილი აქვს შეცემრი წიბიურებითა და შესატყებისი ღარებით. ასეთი ცულები ნამონია მხოლოდ კოლხეთის ზღვისპირა და რამდენადმე დაცილებულ ზოლში: აჭარასა (ხუცუბანში), გურიასა (ხევში) და აფხაზეთის (ზეანდრიბში), გაფორმებული ცალი და ერთიც ლუკინის კოლექციაში) ტერიტორიაზე, ხოლო ხსენებული ძეგლები ძირითადად ძე. წ. IX—VIII ს. ს. თარიღდებიან.

განძში შემავალი ტანში როგორის მოზრილი ცული იმითა საინტერესო, რომ იგი მარტივია — (უსახოა). რაც იშევითია ამ რიგის ცულებისათვის. ამგვარი ცულები, როგორც ცნობილია, სახელგანუქმებულია გრაფიკული გაფორმებით, ყონანის სამართვისას მომდინარე ტანმრუდი ცულები ცველა თრიამენტირებულია.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის ჩათვლით ნამონია 5 მოუხატავი ტანმრუდი ცული, ერთი — ლეჩემუშში (სურმუშის განძში), მეორე რაჭაში (სინათლის განძში), მესამე აფხაზეთში (ახალ ათონში), ხოლო უცნობი წარმოშობის ერთი ნაკლელი ცული საქართველოს მუზეუმის ფონდშია დაცული (ინვ. 27—11:17). ასე რომ ტანმრუდი ცულების უორნამენტო ცალების კავრცელების არეალი მთიან კოლხეთსა და შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ სა-

ნაპირო ზოლს უკავშირდება. ეს მომენტი უთუთ საყურადღებოა კოლხური ცუ-
ლების წარმომავლობის საკითხის ძიებასთან დაკავშირდებით.

საბრძოლო იარაღთაგან მხოლოდ მახვილსა და სატევრის ნაწილებით და
გრძელყუნწიანი მახვილურებიანი ბრტყელი ისრის პირებია. სატევრის მიზანი მხოლოდ ნაწილებია დაკბილული ზედაპირიანი სამაჯურებისა, ქამრის აბზინდი-
სა, მოხატული სარტყლისა და სხვა.



ნაწილების ისრის პირები

განძის ვშეკრებას წარმოადგენს ნივთი, (ქანდაკება) რომელიც ნაყოფიერე-
ბის ღვთაებასა და ცხვრის კულტურან დაკავშირებულ რიტუალურ სცენებს უნდა
გამოსახავდეს. მას ბადალი არ ეძებენ არც ჩვენთან და არც სხვა მხარეში; შეიძ-
ლება იგი მიჩნეულ იქნას უნიკალურად.

ესაა ოვალური, თოთქოს შემოზღუდული (შემოღობილი) სადგომი, რომლის
წინა შევიწროვებული ნაწილი (მოღობილში შესასვლელი) საგანგებოდ გადა-
ხურული დროებითი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. წინა ოთხეულხა ნაწილი თით-

ქოს გამოყოფილია საერთო კომპოზიციიდან და არღვევს ოვალის გარემოზე უძლობას. მარცხენა შხარეზე, იქ, სადაც ნაგებობის საწყისია, ოვალი ერთხმაში იყენება და ნივთის ბოლო ნაწილი ოთხეუთხა (ნაგებობის) ფორმას ტებულობს „შენობის“ საძირკვლისა და გარემოხაზულობის თანხევების აღვიწავს სწორი კუთხე წარმოიქმნება და კუთხის ის გვერდი, რომელიც მთავარ მოედნთანაა დაკავშირებული დაახლოებით 1 სმ სიგანეზე ღობით არ არის შემოფარგლული. სამაგიროდ, მოღობილის ამ ღია ნაწილთან დგას ძალი, როგორც ჩანს, მცველი ამ ღია შესასვლელისა.

წინა, ერთი შეხედვით, სადგომში შესასვლელის ნაწილი შედარებით როგორ ნაგებობას წარმოადგენს, მაგრამ დაზიანებულია. იგი თითქოს ოთხეუთხა და ნაგები უნდა იყოს.

მოღობილის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია კარავი. იგი არ გამოიყურება, როგორც ჩეულებრივი ნაგებობა, არა ჩანს მასთან დაკავშირებული არც ბოძები და არც სხვაგვარი საყრდენები; მას ორივერდა მევეორად დაქანებული სახურავის ფორმა აქვს, ბოლოება გაღაეცილი და დამაგრებული ბაზაზე, წინა და უკანა გვერდი არ არის ამოშენებული. კარვის გაგრძელებას უკანა მხარისაკენ წარმოადგენს 1 სმ სიმაღლის ნახევარწილიული მოღობილი. ამ მოღობილის ბოლოები გარედან დამაგრებულია კარვის ქვემო ნაწილზე (მაშასადამე, შემადგენელი ნაწილია კარვისა), შიდა მოპირდაპირ მხარეზე კედლების გასწურივ ერთ-ნაირი ფორმის დიდ-ძატარია ოვალური, კლარუნას მოყვანილობის ნივთებია და-ლაგებული, მათი გვერდები ჩაღარულია, ხოლო „ყუნწები“ კარვისაკენაა მიქ-ცემული.

აყადემიკოსი შალვა აშირანაშევილი დასაშვებად თვლის, რომ ამ ნაგებობას საღმრთო კარავი — საღმრთო ნიშე ცუწოდოთ, და რომ მისი გამგებელი მთავარი დევთება უნდა იყოს ის კერძი, რომელიც ზურგითა მასზე მიყრდნობილი.

მოღობილში, მთავარ მოედაზე („საღმრთო“) კარვის უკანა მხარესა და მარჯვნივ (წინასწარული დაკვირვებით, სულ მცირე, ცხოველთა სამი სახეობის წარმომადგენელთა მეტ-ნაკლები რაოდენობა ჩანს განლაგებული). სკულპტურები ძალზე სქემატურია და ზოგიერთი მათგანის ზუსტად გამოცნობა ძნელდება. დიდი ნაწილი (10 მანებ) დედა ცხეარი უნდა იყოს.

ცხოველთა სკულპტურებს შორის ერთი რამდენადმე განსხვავებულია სხვებისაგან. იგი მხოლოდ ჩერებით განსხვავდება ცხერებისაგან, და საერთოდ, აღნა-გობით უფრო ოხა (ვაცი?) ვიდრე სხვა რამ ცხოველი. ამათ გარდა, კიდევ ორი ძალი ჩანს გამოძერწილი.

მთელი ეს კომპოზიცია დინამიურობაშია, სკულპტურების განლაგება — მეტად მოხერხებული. წინა პლანზე ძალი და ოხა ერთი მეორის გვერდით, თითქოსდა მთელ ფარას წინამდლოლობენო. მეორე და მესამე რიგში სამ-სამი ცხვარია, ხოლო მეოთხე რიგში — 4 ცხვარი, (ყველა დედა ცხვარია), და ისინა ისეა განლაგებული, თითქოს რიგში დგანან ერთი მეორის მიყოლებით. ერთი ძალი განცალკევებით დგას, ცხვრებისაგან რამდენადმე დაშორებით და გამურებებს სიცრცეს. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღია კარების მცველი, მისი გუ-შავი შეიძლება იყოს.

ამ შესანიშნავი კომპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქან-



დაკებები, ისინი რვაა. მათგან შეიძიო შიშველია. 4 ფალოსითაა წარმოდგენილი. დიდ ინტერესს იწვევს მათი განლაგება. ფალოსიანი სამი ქანდაგებრ ცისამზეობა-გამოყოფილია ცხოველთა სამყაროსაგან და დამოუკიდებელ სცენისთვის ჩრდილი და-კავშირებული; ერთი (ყველაზე სრულყოფილი) ქანდაკება ცენტრალური, კარავზეა. ზურგით მიყრდნობილი, აქ ქანდაკების განლაგება სამყუთხედს ქმნის. მათ შო-რის მოქცეული ფართობი სპეციალურად ამაღლებულ უწესო წრიულ მოედანს წარმოადგენს, რომელზედაც „დალაგებულია“ ბურთულების მაგვარი (მრგვალი) საგნები (7 ცალი); სავარაუდებელია, რომ ეს ამაღლებული მოედანი — სა-



ბრინჯაოს ნატეხების კროკა

კურთხეველი, ან შესაწირი ადგილი იყოს, ხოლო მასზე დალაგებული ნიერები ზეწირული — თავი ყველი ან სხვა რამ მისთანა. აშკარად შეინიშნება, რომ სამ-სხვერპლი თუ შესაწირი ადგილი და ზეწირულებაც, ისე, როგორც ცენტრალუ-რი მაღალი კარავი, საერთოდ, ქანდაკების, ან რომელიმე მათგანის გამგებლო-ბის ქვეშაა.

უცრო მოსალოდნელია მათ განაგებდეს ის ლვთაება, რომელიც თავის ულად მიყრილნობილია კარაცხ, როგორც თავის საკუთრებას.

თანმიმდევრობით შემდეგი 4 ქანდაკება დაკავშირებული უნდა ჩაყრის ტესლა ფელებთან (ცხრერებთან). ისინი დგანან წყვილ-წყვილად „ზღუდული“ მიწოდებულია და მარცხნა „კედლებთან“, ერთმანეთის საპირისისიროდ. ცხოველების ირკვლივ, გაცყვრებენ მათ და თითქოს კიდევაც განაგებენ ცხოველების მოძრაობასა და შექმედებას. (მწყემსები?). მეღავებიც იმგვარად გაუშლიათ, რომ თითქოს მიერკებიან ცხვრებს განსაზღვრული მიმართულებით; არც ერთ მათგანზე არ შეინიშნება ფალოსი, მაგრამ დედრობითი სქესის წარმომადგენლებაც არ უნდა იყვნენ.

და ბოლოს, იმ კერპის შესახებ, რომელიც ნაგებობის მარცხნა წინა ბოძთანაა აღმართული, უსწორდება და თითქოს სკილდება სიმაღლეში სარტყელს, იცირება მარჯვენა ბოძისაკენ, ნაგებობის შიგნით შესვლას არ აპირებს, მხოლოდ მარცხნა ხელი აქვს გაშევრილი მოღობილის შიდა მოედნისაკენ. მისი მისია და აღგილი ამ შესანიშნავ ანსამბლში ჯერჯერობით არ არის ჩერნოვის სრულიად ნათელი.

იგი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი გამგებელი — ლვთაება, კვერთხით ხელში, იმ ტრმისა თუ გვარისა, ვისმა ხელოსანმაც გააკეთა ეს მშენებირი ძეგლი.

ერთიანად აღებული ეს რთული და შესანიშნავი კომპოზიცია უდიდესი მნიშვნელობისაა არა მარტო იმიტომ, რომ მასზე წარმოდგენილია იმდროინდელ ადამიანთა რელიგიურ-მისტიკური შეხედულებათა რიგი მონაცემები, არამედ იმიტომაც, რომ აქ ნაჩენები უნდა იყოს მათ საარსებო საშუალებათა ერთ-ერთი წყაროს მეცხვარეობის უტყუარი მანიშნებელი — „ფარა“ მოელი მისი ატრიბუტებით. კომპოზიციის ძირითადი არის, მოელი მისი შინაარსობრივი მხარე გვიჩვენებს თუ რა სიძლიერით იყო ზოგიერთ იმ დროის ქართველ ტომებში დამკვიდრებული ნაყოფიერების ლვთაებისა და ცხრის კულტის ინსტიტუტი. ამასთანავე, იგი მიახლოებებთ მაინც წარმოგვიდგენს თუ რა დონემდე იყო ასული თვით მეცხვარეობა. ის ფაქტი, რომ სარიტუალო სკუნის მთავარი შინაარისი გაშლილია ცხვრებისა და, მაშასადამე, მეცხვარეობის ფონზე და აქ წარმოდგენილია მხოლოდ დედა ცხვრები მწყემსებითა და ძალლებით უნდა მიუთითებდეს მეცხვარეობის არსებობაზე, მწყემსერი მეცხვარეობის განვითარებაზე. როგორც ცნობილია, ის სადაც მეცხვარეობა განვითარებულ საფეხურზეა წელიწადის განსაზღვრულ დროს ცალკეა ყოჩები (მამა ცხვრები), ცალკეა ბატკენები, ცალკეა მეწველი ცხვრები, ყველას თავ-თავისი საკუთარი ადგილი აქვს. პროფ. ა. აუაქიძე განიხილავს რა ჩენი საკვლევი ნივთის შინაარსობრივ მხარეს, მას მიაჩინა, რომ გამოსახულება ბაკის საქონლისა — მოზღუდული და მასში მოთავსებულია ცხოველთა სკულპტურული გამოსახულებები; მეცხვარის ძალლები ერთმანეთი-საგან საკმარის მანძილითაა დაცილებული — ღობისა და მწყემსების გასწვრივ „აგუარას“ შიგნით. აგუარა და იქ აღმოჩენილი ნივთები, მისი აზრით, ახალ საფუძველს იძლევა არა მარტო იმის საგარაულოდ, რომ ფართოდ იყო გავრცელებული ხსენებული ტიპი ბაკისა, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს. არამედ მის გადაცევაში კულტის საგანად.

ამასთანავე იგი (ცხვრის საღვიმის ეს იმიტაცია), აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმური სამოვრების ზონაში შესწავლილი „აწანგვარების“ ტიპისაა და

ა. აფაქიძის შეხედულებებით, არა მარტო აფხაზეთის აღმართულ საძოვრებზე ცორ-
ბილი აწანგვარების, არამედ კავკასიისა და, საერთოდ, წინააზიისა და მახლობე-
ლი აღმოსავლეთის მთიან ზოლში ფართოდ გაურცელებული მესაჭიშლება დორ-
ებითი, საზაფხულო სადგომების საკულტო გამოსახულება ჩანს.

განძის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა მარტო ამით არ მოიწუ-
რება. იგი დიდი მნიშვნელობისაა იმ მხრივაც, რომ საყურადსალებო მასალას იძ-
ლევა კოლხურ-იბერიული კულტურების ურთიერთობის შესწავლისათვის. ეს აღ-
მოჩენაც აშეარად მიუთითებს იმაზე, რომ ძ. წ. II ათასწლეულის მიწურულა
და | ათასწლეულის | საუკუნეებში შიდა ქართლის დიდ ნაწილზე დიდი მოზეა-
ვებაა დასაელურ-ქართულ კულტურის ელემენტებისა და, როგორც ჩანს, კოლ-
ხური საწარმოო იარაღები ფართო გამოყენება პოვებენ შიდა ქართლის სამეურ-
ნეო ცხოვრებაში. კიდევ მეტი, ამ პერიოდში, შიდა ქართლის დასავლეთი ზოლი-
კოლხური კულტურის გაურცელების ზონაში ექცევა.


ნიკოლოზ თუშიშვილი

იუ. გვარეშვილის სახ. მსტარის, არქოლოგისა, და ეთნოგრაფის და ეროვნული მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

არდასუბის ზოგიერთი აღრიცხვი ძეგლი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იუ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თეორიიშვაროს არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. გ. გობეგვიშვილი) არდასუბის რაზმით 1961-1962 წლებში საძიებო სამუშაოების შედეგად გამოივლინა ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთი და ერთი აქლდამაში.

აქლდამაში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. პირველი — დედაკაცი — მარცხნა გვერდზე იწვა ხელფეხმოკეცილი, მისთვის ჩაუტანებიათ შავლება ცალკურა ჯამი, რომელსაც ყურის მოპირდაპირე მხარეს შვერილი აქვს, ძვლის ნაკვარსეუროსებრი კვირისტავი და რქეულის რომელიდაც იარაღის ნაშთადი.



ბელალქევაის ქვეპი

მეორე მიცვალებული (მამაკაცი) პირველისაგან მიწის თხელი შრით იყო გამოყოფილი, ე. ი. ის უფრო გვიან დაუსაფლავებიათ. ისიც ხელფეხმოკეცილი ესვენა, ოლონდ მარჯვენა გვერდზე. ამ უკანასკნელს ეყუთვნის, როგორც ჩანს, ცალკურა ტოლჩა და ერთი მრგვალი (შურდულის?) ქვა. საინტერესოა, რომ

ტოლჩა სამ ადგილას იყო გამზარეული და ნაბზარი ადგალები კუპრით ჰქონდა შეუძლებილი.

აქცე წინასწარ უნდა ითქვას, რომ არდასუბნის ნამოსახლარ ფენიშერაფ—შონინდა ცეკითელი ჭერკლის ნატეხი, რომელსაც შერჩენილი აქცე აგრეოდე კუპრით გავეთვებული ზოლი.

ეს არის კუპრის გამოყენების ჯერჯერობით ცეკლაზე უძველესი შემთხვევა საქართველოს ტერიტორიაზე. საერთოდ კი, მისი გამოყენება უძველესი ღრიოდანაა ცნობილი. ასე მაგალითად, ძველი მესოპოტამიის მცხოვრებნი თიხაში ურევდნენ კუპრს და იღებდნენ მასალას, რომელიც ცეკლიდა ქვას სახლების შენებლობის დროს. ძ. წ. VIII ს. ბაბილონში კუპრის იუნებდნენ არხების შშენებლობის დროს, როგორც წყალგამდელ და შემაკავებელ მასალას. რომელიც იცნობდნენ მაღალხარისხოვან კუპრს და ამ ნივთიერებას ხმარობდნენ საკურნალო საქმეში.

ქიმიურმა ანალიზმა, რომელიც გააქცა პ. გ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტის მაღალმოლეულური ნაერთთა ლაბორატორიის გამგეტ მეცნ. კანდ. პ. ცისკარიშვილმა, ცხადდეთ. რომ არდასუბნის სამარხში აღმოჩენილი კუპრია ზედმეტი მინარევებისაგან გასუფთავებულია. რაც ტექნოლოგიურად საცმაოდ როლი საჭმა. ეს კუპრი შეიცავდა 7,65% წყალბაზს, 80,9% ნანშირბაზს, 0,25% აზოტს, 4,2% ნაცარს და სხვა უმნიშვნელო მინარევებს (ჟანგს, გოგირდს და სხვ.). უნდა ვივარიულოთ. რომ ძველ საქართველოში იცნობდნენ კუპრის ფისის გადასაცემს, იცნობდნენ მისი გასუფთავების ხერხები და იყენებდნენ მას საჭირო შემთხვევაში.


მეტად სანტრექსოდა ნაგები აკლდამა: სწორეუთხა კამერის ძევდა ნაწილი შეკრულია შევეულად დაყენებული დიდი ზომის ფილაცებით, რომელთაც ზემოდან გადაუყება თიხის ხსნარით შემტკიცებულია ნატეხი ქვების წყობა ისე, რომ კამერის კუთხები მომრგვალებულია და სამარხის გეგმა ოვალური (ნალისებურ) მოხაზულობას იძლევა. აკლდამის სამხრეთ კედელში გაკეთებულია შესახლელი, რომელიც უნდა გაფექროთ, ქვებს შორის შექმნილ დარებში ჩასმული ფიცირით იყტებოდა. სამარხი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა დამხრობილი, თლნავ აღმოსავლეთით გადახრილი. მისი ზომია: 3,3X2X1,1 მ; ნატეხი ქვებით დაზენებული კედლის სისქე თითქმის ცეკლგან თანაბარია და 0,4 მ უდრის. აკლდამის იატაკი თიხით იყო მოტკეპნილი. გადახურვა, როგორც ჩანს, ძელური უნდა ჰქონდა, რასაც მოწმობს სამარხში აღმოჩენილი ხის უამრავი ნაშთი.

ზოგიერთი ნიშნით არდასუბნის აკლდამა ემსგავსება ახალციხის ამირანის გორის, კიკეთის, თამარისის და სხვ. სამარხს ნაგებობებს. ყველა ეს ნაგებობა შემოვალობის ტექნიკით განსხვავებულია არდასუბნის აკლდამისაგან. მაგრამ მათ ერთი საერთო და მეტად საყურადღებო დეტალი ახასიათებთ: დამხრისა სამხრეთიდან ჩრდილოეთით. სამხრეთით აქვთ შესახლელიც. თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებულია: თამარისში — საფეხურიანი, კიკეთში — დირე ან სულლია შესახლელი, ამირანის გორაზე — კარის ადგილას ცერტკეალურად ჩასმული ქვები.

არდასუბნის აკლდამაში აღმოჩენილი ჯამი და ტოლჩა პარალელს პოლობს თეთრწყაროში. თამარისში, კიკეთში, სამხრეთ თხეთში, ძალინაში და ახალციხის ამირანის გორის მასალაში.

ნამისახლარი ცენა მეტად დაზიანებულია, რადგანაც ზედაპირულადა და მიწის დაბარვის დროსაც კი იძლვევა. ამ ცენაში მოპოვებული კერამიკის მარილით თაღი ნაწილი მოვარდისფრო-მოყვითალოა. არის მუქი ცერის და შემორიცვული ვარდისფრერსარჩულიან თიხის ჭურჭლის ნატეხებიც. ზოგიერთ შავპრიალა ვარდისფრერსარჩულიან ჭურჭლის ნატეხებზე შერჩენილია საოვალისებური ხეილის რელიეფური სამკაულის ნაწილი.

საოვალისებური ხეილი ერთ-ერთი ცენაშიც დამახასიათებელი სამკაულია მიურცავებასის ცენტრულით — აღრებრინჯაოს ხანის კერამიკისათვის და, ამავე დროს, იგი ცენაშიც ხშირად გვხვდება ორიალებში — ბეშთაშენში, ოზნში, კიკეთში, ოუზრწყაროში, აგრეთვე, ამირანის გორგაზე და სხვ. ამგვარი შემკულობა აღმოჩენილია სომხეთშიც ნ. მარის მიერ არაგაცთან გათხრილ სამარხში. მსგავსი ორნამენტი კავკასიონის ჩრდილოეთითაც გვხვდება კაიაკენტის და ლუგოვოეს ენეოლითურ ფენებში, სამხრეთით — გეოთეფეს პერიოდის და ანატოლიის ამა-




აული აღმოჩენილი ნივთები: 1. ძელის ეკირისტავი, 2. ცალკერიანი ფაზი, 3. ტოლნა, რომელსაც კუპარით აქვს შელესილი ნაბზარი აღვალები

ვე ხანის მასალებში. აღნიშნული მოტივი მოგვიანებითაც იქნეს თავს, მაგალით — ორიალეთას „მწვანე ყორლაში“, საჩერებში — ნაჩერქეზევის მეორე და ნესამე სამარხებში, მაგრამ ამ ხანისათვის დამახასიათებელი არ ჩანს, და თუ გვხვდება ერთეულების სახით, იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სამკაულის ეს სახე თანდათან ქრება. საოვალისებური ხეილი შემცული ჭურჭელი ჩვენში გავრცელებული ჩანს ძვ. წ. 111 ათასწლეულის დასაწყისში.

აღდასუბანში აღმოჩნდა ერთი შავპრიალა ვარდისფრერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელიც შავ ფონზე წითელი საღებავით ჯვარედინად არის მოხატული. ჩვენთვის ცნობილი ყველა ნიმუში, ვარდა ზემოთ აღნიშნულია,

მუქი სალებავებითაა მოხატული მოვარდისფრო ან მოყვითალო ფონზე აღსაჩინავია, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მოხატული კერამიკა მცირე რაოდენობითაა ნამოგნი. მათი აღმოჩენა დამოწმებულია ბეჭთაშემშენი, იზიდი, ბედენზე, ურბნისში და სხვ. პროფ. ო. ჯავარიძის აზრით, მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ აღრე შემოდის, მაგრამ სათანადოდ ეკრ იყიდებს ფეხს. ენეოლიტ აღრებრინჯაოს კულტურაში მოხატული კერამიკის ერთგვარ გამოცოცხლებას იგი წინა აზიასთან ურთიერთობას მიაწერს.



თიხის კურკელის ნატეხი, რამელზედაც შეტანილია სათვალისებური ხეის რელიეფური იპინამენტი.

არდასუბნის სხვა მასალებიდან აღსანიშნავია მოვარდისფროდ გამომწვარი ჰადისებრი კურკელის გვერდის, კერის შეკრილის, ცრუ ყურის, საღლვებლის ფრაგმენტი და, აგრეთვე, ზემოთ აღნიშნულ მოყვითალო ფერის ყურის ნატეხი, რომელსაც კუპრით გაკეთებული შავი ზოლი დაუყვება.

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ იარაღებიდან გამოიჩინა ხელსაფეხურის ქვები და მოყვავესფრო კაფის ნამებლის პირი, რომელსაც დაკიღული ფეხი მიწათმის შედეგად გაპრიალებული აქვს.

არდასუბანში აღმოჩენილია შინაურ ცხოველთა ქველები და, როგორც ზემოთ
ითქვეა, სადღებლის ფრაგმენტები, რაც მესაქონლეობის განვითარებაზე უნდა
შეისახოვდეს.

სამარხ ნაგებობათა და მათში აღმოჩენილი მასალის ანალიზის საფუძველი-
ზე დადგენილია, რომ ამინანის გორის ნალისკური სამარხები მტკვარ-არაქსის
კულტურის ქვეგლთა ადრეულ ჯგუფს ეკუთვნის. ასეთივე სურათი ჩანს თამარი-
ხის და კიკეთის მასალების მიხედვით. აღნიშნულ ძეგლებთან შედარებისას ცხა-
დი ხდება, რომ არდასუბნის აკლდამა აღნავობით (კერტიკალურად დაყენებუ-
ლი ფილაქებით შეკრულ სწორეულხა კამერაზე ნატეხი ქვებით დაშენებული ნა-
ლისებრი ნაგებობა) და ზოგიერთი სხვა დეტალით (შესახელელის უფრო რთუ-
ლი კონსტრუქცია, თიხის ხსნარის გამოყენება) უფრო განვითარებულ ტიპს
წარმოადგენს. ამიტომ არდასუბნის აკლდამა სამარხთა ზემოაღნიშნული ჯგუფის
მოგეიან საფეხურს უნდა მიეკუთვნოს.



აკლდამა

თიხის ჭურჭელის ზოგიერთი ფრაგმენტი მტკვარ-არაქსის კულტურის აღრე-
ულ კერამიკას ემსგავსება. კერამიკაში შენიშნული ასაკობრივი სხვაობა (თიხის
გამოწვა-დამუშავების მიხედვით), სამწუხაროდ, სტრატიგრაფიული მონაცემე-
ბით ვერ მტკიცდება ფენების ერთმანეთში აღრევის გამო.

ახალი არქოლოგიური ძეგლები ერთოს ველზე

რამდენიმე წელია, რაც იქ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა დაიწყო ერწოს ველის (თიანეთის რაიონი) არქეოლოგიური შესწავლა. ექსპედიციამ უფროსი მეცნიერი თანამშრომელის რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა და ნაწილობრივ გათხარა სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები.

ჩვენს წერილში განვიხილავთ მხოლოდ შეასაუკრნეთა ძეგლებს, რომელიც გამოვლენილია ზევრვითი არქეოლოგიური თარიღი.




ს. ხაყდრიონი. ერწოსია .საერთო ხელი. ფოტო ა. ნეკუაროდივეისა

მეტად საყურადღებო აღმოჩნდა ე. წ. „ქუშანაანთ გორა“, რომელიც ს. მაგრანეთის წრდილო-დასავლეთი მდებარეობს. იქ 1963 წ. გაითხარა გზის პირას გამოვლენილი სამარხები. მათ შორის ორი ქვისსამარხია, ორიც — ორმოსამარხი. ნივთიერი მასალა მოგვცა მხოლოდ ქვისსამარხებმა. მათ ქედლებად დასახურავებად გამოყენებულია კლიდის ბრტყელი ფილები, სხვადასხვა ზომისა. სამარხებში დაყრძალების წესი ქრისტიანულია. ნივთიერი მასალა წარმოდგენილია სამეცნიეროთ: მარჯნის, მინის, მთისბროლის და სარდიონის მშენებით თავშემკული საკინძებით, რომელთაც ბრინჯაოს და რკინის ღერობი აქვთ; ბრინჯაოს სა-

ქინძებით, რომელთა თავები გამოსახავენ წოწოლა კუმბათის მქონე შენობას
და მარცხენა ხელის მტევანს; ბრინჯაოს მშვილდსაყინძი და ბეჭედი; რეინის სა-
მაჯურები და სხვა.

1966 წელს ქუშანაანთვორაზე გაითხარა კიდევ სამი სამარხი. ერთ შათვამ-
ში, რომელშიც ორი მიცვალებული ესვენა ერთი-მეორის გვერდით, პირაღმა--
აღმოჩნდა ცერტბლის საყურე და ოთხი ბეჭედი. ქუშანაანთვორის სამარხთა აღ-




ერთშის ცელი. ს. სონთ გორი. ველესის და კოშეის საერთო ხედი

ნაგობა და ნივთები ღიღ მსგავსებას იჩინენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადა-
სხვა აღვილებში (სამთავრო, არმაზისხევი, სანგრისხევი, კარსნისხევი, ბეთანია,

წყნეთი, ურბნისი) აღმოჩენილ შუასაუკუნეთა სამარხეულ ძეგლებთან, რაც უფლებას გვაძლევს ქუშანაათგორის სამარხები ახ. წ. VI—VIII საუკუნეებით დაგათარიღოთ.

აღსანიშნავია, რომ 1967 წელს ამ სამარხების ჩრდილოეთით დაიწყო ვა-ოსტრა ნამოსახლარისა, სადაც გამოვლინდა რამდენიმე სენაკისაგან შემდგარი ნაგებობა. გაწმენდისას გაირკვა, რომ მას ჰქონია აღიზის კედლები, ამოყვანილი რიცის ქვის საძირკელზე, ხოლო გადახურული ყოფილა იგი კრამიტით. ერთ-ერთი სენაკის ნაკრევში აღმოჩენილი სასანური და ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძი (ახ. წ. VI—VII სს.) საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ ნაგებობა ადრეული შუასაუკუნეებით.

ს. მაგრანეთის ჭიროულების უბანში შემთხვევით აღმოჩენის ადგილს ჩატარებულმა საცდელმა გათხრამ მოგეცა ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქვეერის, ოეთრკეციანი ცალყურა დოქტების, შავალ გამომწვარი თარისის ჭურჭლის ნატეხები და კერის ნაშემი. სავარაუდოა, რომ იმ ადგილას ოდესლაც სამეურნეო ნაგებობა მდგარა.



ფრწოს ველი. ს. მაგრანეთი. საცხერე გორაზე
აღმოჩენილი ჭინძისავები. ფოტო მ. კოჭლოვსკია

იმავე სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით მიკვდეულ იქნა-
სამაროვანი, რომელიც მდებარეობს ჭინძისავების ხევის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ.
საცხერე გორაზე. ხევის ჭრილში ჩანდა სამი ორმოსამარხი. მათგან ერთში აღ-
მოჩენდა მინის ორი სამაჯური, რყინისა და ბრინჯაოს სამაჯურები და ბრინჯაოს-
სამი ბეჭედი. ამგვარი ნივთები ცნობილია შუაფეოდალურ ხანაში, XI—XIII
საუკუნეთა განათხარებში (რუსთავი, თბილისი, ნატპეური, სიონი).

იმ სამარხების სამხრეთ-აღმოსავლეთით, საცხვრე გორის ჩრდილო ფერდინანდის ზე ინაღვარმა გააშენდა სამარხის სახურავი, საცდელი თხრისას აღმოჩნდა ოთხი ქვეისამარხი, რომლებიც ტერასულად მდებარეობდა ერთი მეორის, პარალელურ რად. მათ კედლებად და სახურავებად გამოყენებულია შირიმისა და კლდის ფილები. სამარხები კოლექტიურია. ინვენტარი წარმოდგენილია სამეცნიერო: ბრინჯაოს რკინის-ენიანი მშენლდასაკინძით, ბრინჯაოს საყურებით, ბრინჯაოს-ლერიიანი, მძიებით თავშემცული საკინძებით, ქვით საბჭოდავით (ზედ არწივის გამოსახულება), რკინის ბეჭდით, რკინლის ბრინჯაოს ფრიაჭი ჯვარია გამოსახული და სხვა, ისინი, ანალოგიური მასალების მიხედვით, VI—VIII საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

აღრეულ შუასაუკუნეთა სამართვანია აღმოჩნდილი ბადათ გორაზე, რომელიც მდებარეობს სოფ. თრანისა და მაგრანეთს შორის, ექვენის დროს სამარხებიდან ამოცნილ ძეგლებს შორის აღმოჩნდა ოთხი ბეჭდი — სამი ბრინჯაოსი, ოვალბურიანი და ერთიც მინისა. ეს უკანასკნელი ფერად შავია და ემსგავსება თრბეთის მინის საწარმის თხრისას აღმოჩნდილ ბეჭდებს, რაც საშუალებას გვაძლევს „ბადათ გორაზე“ ვიდარაუდოთ VIII—IX საუკუნეთა სამარხების არსებობა.

შუასაუკუნეთა არქეოლოგიური ძეგლები აღრიცხულ იქნა ერწის ველის სხვა ადგილებშიც: სოფ. თრანში, ბადებში აღმოჩნდა ქვისამარხები, ხოლო ოდინანთ ნასახლარზე ხვის დროს გამოვლინდა კერამიკული ნაწარმი; საცდელი თხრისას ტოლათსოფელში, ნასოფლარში და ს. ღულელების დასავლეთით, კვირიასხევის მარჯვენა ნაბირას, დიდ ახოზე შესწავლილია ქვისამარხები; ნაწილობრივ გამოინდა აკლდამა სოფ. ნაქალაქართან.

შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ აღრეულ და შუასაუდალურ ხანაში ერწის „ქვენის“ მოსახლეობას პერიოდი ეკონომიკური და კულტურული კავშირი ქართლთან და კერძოდ, მცხეთასთან, რომელიც, ცხადია, ხოლო ცენტრული დღესაც მოქმედი, უმოკლესი გზების მეშვეობით.

ერთ-ერთი ასეთი უმოკლესი საქალაქო გზით, ძეგლითგანვე უკაშირდებოდა სოფ. მაგრანეთი თბილისა და მცხეთას. ეს გზა იწყებოდა სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბეწულიანთ უბანში და გატრილ გორის გაელით ჩადიოდა იყენაში, ხოლო იქიდან უხარისხმიასაცენ მიემართებოდა და შემდეგ კი თბილისისა და მცხეთისაცენ. ამ გზით სარგებლობდნენ ერწის ველის სხვა სოფლებიც და კახელებიც, ახმეტის რაიონიდან.

ზეცრევითი თხრის გარდა, ექსპედიციამ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში დაათვალიერა და აზომა ერწის ველზე მდებარე, შუასაუკუნეთა ნივთიერი კულტურის მრავალი ძეგლი: ნასოფლარები, კომეტი, ველესიები, ნამარნალები, ნაგზაურები, წყალსადენი და ა. შ. უნდა აღინიშვნას, რომ ბევრი ამ ძეგლთაგან უყურადლებოდ არის დარჩენილი.

¹ სოფ. მაგრანეთის გზების შესახებ ცხობები მარკოზეს იქცევებია მიხედვით ველისა და დავით გაბედაურმა.

ასე მაგალითად, სოფ. საყდრიონში მდებარეობს აღრეულ შეასაჭირებოა ეკლესია, რომელიც შემდგომ გადაეცემულია. ეკლესიაში შემორჩენილია საკურთხევლის ქვა, შემქული „ბოლნური ტაძის“ ორნამენტული გადლესია შიგ სოფელშია, მაგრამ სრულიად მოუვლებია. ორიოდე წლის წინათ მდ. თრანულას ხეობაში ვიღაცებს აუფეთქებიათ ძველ ნაგზაურზე მდებარე ხიდის ბურჯი.

ადგილობრივმა სკოლებმა, სოფლის ინტელიგენციამ და კოლჩეურნეობებმა შეფოძა უნდა გაუწიონ ერწოს ველის ხერითმიმოქრულ ძეგლებს და აცნობონ სათანადო დაწესებულებებს ყველა შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ, რაც ასე გახშირდა, მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით.

ანტიკური ხანის ხელის წისძილი სპურჩადან

1964 წელს ოქამინიქს რაიონის დ. გულიას სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ნაკვეთის ხენის დროს ტრაქტორისტმა მიწიდან ამოაგდა დამუშავებული ქვიშაქვის ფილა. ნაპოენით დაინტერესებულმა ტრაქტორისტმა რამდენიმე კოლმეურნის დახმარებით გააღმამავა და გააცართოვა ფილის აღმოჩენის ადგილი, მაგრამ მეტი ველარაცერი ნახა. სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ფილა სახლში წაიღო, ხოლო 1965 წლიდან იგი აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

აღმოჩენის ადგილი წარმოადგენს დაბალი, განმარტოვებული პორცენტის



სურანიშვილის ნახავენი ხელის წისძილის ზედა დოლაბი


რეზობლად მსუბარე ვაკეს. ამ ადგილას მცირე თხრილის გაჭრამ გვიჩვენა დიდი ქვიშნარი ფენის არსებობა.

ეს ფილა უნდა იყოს ლიტერატურაში არაერთგზის აღწერილი ქველბერძნული ოთხურთხა ხელის წისძილის ზედა დოლაბი. ამგვარი წისძილის ქვედა დო-

ლაპი იდგმებოდა მასიურ, შესაძლოა, ქვის მაგიდაზე იმგვარად, რომ იგი უძრავად დამაგრებულ ქვის ღილ ფილას წარმოადგინდა, რომლის ზედაპირზედაც ბერკეტის დახმარებით ამოძრავებდნენ ზედა ღოლაბს.

ცირკულაცია


სკურჩიაში ნაპოენი ღოლაბის ქვედა, ბრტყელი ზედაპირის წარმოშობის სწორულთხედს, რომლის გვერდების ზომებია 43 და 32 სმ. ფილის შეუადგილას ამოკვეთილია 22 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის ნახერეტი. მოყლ სამოშაო ზედაპირს გასდევს ამონაკაუჭრები ხახუნის გასაზრდელად და მარცვლის უკეთ დაფუვის უზრუნველსაყოფად. ამონაკაუჭრებს შორის მანძილი 1,5 სანტიმეტრია, ხოლო ნაკაჭრის სიღრმე — 2 მმ. ღოლაბს გარედან აქვს არაერთგვარად „მოთიბული“ წახნაგები (ერთი 70°, მეორე — 80°). ეს წახნაგები გარს ერტყმიან მარცვლის ჩასყრელ წაგრძელებული სწორულთხა მოყვანილობის ძაბრის სტანდარტად ამოკვე-



ღოლ აბის სამოშაო ზედაპირი

თაღ შეა ნაწილს, რომელიც ზემოთ ნახსენები კრისელი ნახვრეტით მთავრდება. ამ ნახვრეტიდან მარცვალი ექცევოდა ღოლაბებს შორის. ქვევით დაქანებულ მოკლე წახნაგებს შეუა ზევიდან ამოკვეთილია ჩაღრმავება ხის გრძელი ღატანის — ბერკეტის ჩასამაგრებლად, რომელიც ამ ღოლაბზე სიგრძივ მაგრდებოდა. ბერკეტი ერთი ბოლოთი მიმაგრებული იყო „მაგიდაზე“ მოწყობილ ერტყიკალურ ლერძზე, რომლის გარშემოც ღატანი პორიზონტალურ სიბრტყეზე მოძრაობდა. მეორე ბოლოთი ბერკეტი — სახელური მაგრდებოდა მოკლე წახნაგის გვერდით მხარეს, სადაც მიმაგრების ადგილი ამჟამად შეიმჩნევა რკინისა და ტყვიის მიღულების ნაშთით. ანალოგიკების მიხედვით ღატანის გრძელი ბოლო სახელურიც

თუმ, რომლის მეშვეობით დოლაბი მოძრაობაში მოჰყავდათ მარჯვნიდან მარცხნიც ნიკ, პირიქითაც, როგორც ქანქარა. მაკრამ ამ შემთხვევაში სახელურის ფილაზე მიმაგრება, როგორც ჩანს, რამდენადმე სხვაგვარი იყო, კიდრე დღემდე ცნობად ამგვარ დოლაბებზე. გვერდით წახნაგვაბზე შემორჩენილია ბერკეტის მიხამაგრება. ბელი დამატებითი ფოსოები — ერთის შხრივ და შვერილები ან გამოოლი ნახვრეტები — მეორეს შხრივ; ჩვენს დოლაბზე კი ცველა წახნაგვი ბრტყელია; 50-იან წლებამდე ამგვარ წისქვილთა აღმოჩენები თითებზე იყო ჩამოსათვლელი. ამეამად კი ისინი მცირეოდენი სხვაობით ზომებსა და მოყვანილობაში აღარ წარმოადგენს იშვიათობას ჩრდილოეთ ზღვისპიროვის რაიონებისა და მოსაზღვრე ოლქებისათვის, ისინი ძველბერძნული გავლენის არეალში შედიან. მაკრამ აღმოსავლეთ შავიზღვისპიროვისათვის ასეთი დოლაბის პოვნა, რამდენადაც ვიცით, პირველ შემთხვევას წარმოადგენს და ამიტომ გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს აღძრავს. (მსგავსი წისქვილის ზედა დოლაბის ნატეხები ნაპოვნია ვანში).



დოლაბის ხედი გვერდიდან, სადაც შეიმჩნევა
სახელურის მიმაგრების აღვალი

ამ სახის ხელის წისქვილები ბერძნულ კულტურულ სამყაროს განკუთვნება. კ. ფ. გაიდუკევიჩს მოჰყავს აღრეილინისტური ხანის ბეოტიური თიხის ჭურჭლის მოხატულობა, რომელზედაც გამოსახულია ფქვილის დამზადება ზემოაღწერილი წისქვილის საშუალებით.

ეს წისქვილები ძალზე დიდხანს იყო ხმარებაში — ძვ. წ. IV სადაც ახ. წ.

111 ს-მდე. ეს ტიპი ქრონიკოგიურად წინ უსწირებდა ხელის მოგვალის წისქვილს, რომელსაც ორი მრგვალი, ერთი ზომის დოლაბი ჰქონდა. ამათვან ზედა ქვა ხელით მოპყავდათ წრიულ მოძრაობაში. ხელის მრგვალი წისქვილის გამოჩენა ჩრდილო შავიზღვისპირეთში გვიანდელინისტურსა და ჩრდილ ზანის მიეკუთვნება. ბევრად უფრო სრულყოფილმა და ხმარებაში მოხერხებულმა ამ წისქვილებმა თანდათან გამოდევნეს მოუხეშავი ოთხკუთხა წისქვილები. ღ. ი. ლავროვის აზრით, სწორედ ეს მრგვალი დოლაბები წარმოადგენენ წინამორბედებს არც თუ ისე შორეული წარსულის წილის ხელის წისქვალებისა.

მრგვალი წისქვილის ქვები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე გათხრების ღრის. მათი მსგავსი წისქვილები ამჭამადაც გეხვდება გლეხთა ოჯახებში. მათ იყენებენ მარცვლის დასაფეხვად და სხვადასხვა სახის ღერლილის დასამზადებლად. ხმარობდა თუ არა ადგილობრივი არაპერისული მოსახლეობა მკელოთხკუთხა წისქვილებსაც? ამაზე დაბეჭიოფებით პასუხის გაცემა მნელია, რადგანაც ფილა ნაპოვნია შემთხვევით, დაუსახლებელ ადგილას.

ძალზე საინტერესოა ის ადგილი, სადაც ეს ნივთი იქნა აღმოჩენილი. თუ დიუბუა დე მონპერე სწორად მიუთითებს 1712 წელს დე მოტრეს ნაპირზე გადმოსმის აღგილს, მაშინ საგულისხმოა, რომ მან იქ ნახა: „ლამაზად გაპრიალებული რამდენიმე კოლონა და ქანდაკების დასახიჩრებული თავი, რომელიც ერთერთმა მცხოვრებმა იძოვა თავის ვენახში; მას მიპყიდეს რამდენიმე შედალი, რომელთაგანაც ერთ-ერთი წარმოშობით დიოსკურიადან იყო“.

რომელიღაც ძველი დასახლების ნანგრევები ახლაცაა შემოჩენილი სკურიის ტყეებში. აქვე საჭიროა გავიხსენოთ ერთი აფხაზური ლეგენდა, რომელიც და გულიას მოპყავს. ამ ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილას შორეულ წარსულში არსებობდა დიდი ქალაქი.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, მიუთითებს რომელიღაც. ჯერჯერიბით წევნოვის უცნობი დასახლებული პუნქტის არსებობაზე ისკურია-ისგურია-კურსი-სკურიჩის მიღამოებში.

ჭულანის პირნაძი

ს. ჭავაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მემკონია
უმცირესი მეცნიერი თანამშრომელი

პოჯის ბანები

კოჯორში, სკოლა-ინტერნატის ეზოში, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ღრმად დაფლული განძი. იგი შედგებოდა სპილენძის ოთხი თევზისა და ერთი თასისაგან. 1963 წელს განძი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განცოცილებას.

ქმიტური გაწმენდის შემძეგ ყველა ჰურპელზე აღმოჩნდა მხედრული წარწერები.

თევზები შეიძლება ითქვას, ზუსტად ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენ. ისინი მხოლოდ ზომებით და წარწერის შინაარსით განსხვავდებიან. ამი-



კოჯის განძი

ტომ ვერაცოფილდებით მხოლოდ ერთი თევზის დაწვრილებითი აღწერით. წარწერათ შინაარსს ეკუალე-ეკუალე განვხილავთ.

თევზი სპილენძისაა, ღრმა და ვიწრი პირიანი. ბრტყელ ძირზე, ცუნტრში სიმძიმის წერტილია აღნიშნული, რომელსაც ინგვლივ მცირე დიამეტრის მქონე წრე შემოუყვება. ჰურპელი დამზადებულია სპილენძის ერთი თევზის ფურცლისაგან ჭედვით. რასაც მოწმობს თევზის გარე პირზე შერჩენალი ჰედვის

დარიალის კვალი, თეფუში მოკალული ყოფილა. ქალა ზოგ აღგილას აქცის შერჩევის დროის შერჩევის სადაა.

ორ თეფუშს, რომელიც ზომით ტოლები არიან გარე პირზე დაყვება წამია სიტყვისაგან შემდგარი მხედრული წარწერა. იგი კარგადაა დაცული ჭიქმის გარება, განკვეთილობის ნიშნად ერთი წერტილი იხმარება, მესამე სიტყვა ასონა კალულია — ერთ თეფუშე დაწერილია „ვტნგ“ მეორეზე კი „ვახტნგ“. დაცული ასონა აღდგენით წარწერა იყინხება ასე აქ მეცე ვახტნგ“.

დანარჩენი ორი თეფუში შედარებით მცირე ზომისაა (I პირის დმ. — 18 სმ. II პირის დმ. — 20 სმ.), წარწერა მათაც გარე პირზე დაყვება. მისი შინაარსია: „ქ. მეცე. ბაქრ. ამ წარწერის მეორე სიტყვა „ა“ ნაკლულია, განკვეთილობის ნიშნად წერტილია ნახმარი.

კანძის მეხუთე ჭურჭელი სპილენძის თასია, საკმაოდ ღრმა, პირშეული, მრგვალმუცლიანი, ძირშელრმაცებული ქუსლით. თასის ცალკე ნაწილების — ქუსლისა და ტანის ერთმანეთთან შეერთებისას გამოყენებულია მირილვა. თასი ტედვითაა დამზადებული. სიმაღლე — 8,2 სმ.



ვახტანგი ბატონიშვილის თეფუშის ფრაგმენტი წარწერით

ჭურჭელს გარე პირზე დაყვება ორი ამოღარული ხაზი და ერთსტრიქონიანი წარწერა, რომელიც დროთა ვითარებას გადაუშლია. წარწერა თოხი სიტყვისაგან წედგება. პირველი სიტყვა ქანწილია, დამახასიათებელი საერთოდ ძველი ქართული წარწერებისას გვხვდება. შემდეგი სიტყვა დაქართავმებულია, არის ასო „ვ ს“ და ბოლო სიტყვა „ხარ“. მთლიანად წარწერას ჯვარი უზის წინ. წარწერის მეორე სიტყვა არ იყინხება. შემდეგი სიტყვა დაქართავმებულია, არის ასო „ვ ს“ და ბოლო სიტყვა „ხარ“. მთლიანად წარწერა ასე წარმოგვიდგება: „ქ... ვს ხარ“. შესაძლოა წარწერის შინაარსი მიუთითოდეს იმაზე, თუ ვის კუთხინის თასი. ჩვენს ხელი არსებულ მასალების მიხედვით ჭურჭლის კუთხინილება ან ნათესაობითი ბრუნვით გადმოცემა — მაგ. „გოორგი სააკაძისა და შიომისა არის“, „ქაიხოსრის შეილის დარეჯასი“ ან კიდევ პატრიონის ვინაობა სახელობითშია მოცემული მეცე ვახტნგ“, „თეფუ ბატონიშეილი“ და სხვა. კვლევა შემთხვევაში ჭურჭელზე პატრიონის სახელია მოხსენებული. აღნიშნულ თასზე კი პატრიონის სახელი არ ჩანს. წარწერა აქ შეიძლება გამოხატავდეს დღევარძელობას და იგი ასე წარმოვიდგინოთ: „ქ იხარე ვის (ი) ხარ“.

ჩვენს მიერ აღწერილ განძს არ შეიძლება დავაშოროთ თეფუში. რომელიც ტორმით, მასალით, დამზადების ტექნიკით, ზომით და წარწერათა ხასათით კოკორში აღმოჩენილი ჭურჭლის ანალოგოურია. თეფუში ქუთაისის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. წარწერა გვაჩვეუბს, რომ იგი ვახტანგი ბატონიშვილის

საკუთრებაა. კოჯირის თეფშეპთან ერთად, ეს უკანასკნელიც, თავის დროზე გახდა ტანგ VI საკუთრებლეს ეკუთვნოდა.

თეფშეს გარე პირზე დაყვება ქანწილიანი მხედრული წარწერა: „წ. ბატონიშვილი: ეხუშტი“. წარწერაში მეორე და მესამე სიტყვა „ა“ ნაკლულია, განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი.

როგორც წარწერა გვამცნობს, თეფში ეკუთვნის ვახუშტი ბატონიშვილს, ვახტანგ VI მეორე შეიღს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და ქართველ მეცნიერს.

რა გზით მოხდა ვახუშტი ბატონიშვილის თეფში ქუთაისში, არ ვიცათ. ცნობილია, რომ ვახუშტი იმერეთში ორჯერ იყო. ერთხელ 1717 წელს, როდესაც მან გიორგი აბაშიძის ასული — მარიამი შეირთო ცოლად, მეორედ კი 1720 წელს, როდესაც იგი ვახტანგ VI გაუგზავნია ლაშქრით, რათა დახმარებოდა ალექსანდრე გიორგის ძეს იკ გამეფებაში. შესაძლოა, ვახუშტიმ აღნიშნული შაილო იმერეთში.

ამგვარად, ზემოთ აღწერილი სპილენძის ჭურჭელი ეკუთვნის ერთი ოჯახის წევრებს: ვახტანგ VI, მის შეიღებს ბაქარს და ვახუშტი ბატონიშვილს, ეს კი საშუალებას გვაძლევს ჭურჭლის დამზადების თარიღი მიახლოებით სიზუსტით მიინც დავადგინოთ.

თარიღის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ თეფშებზე მოთავსებულ წარწერებს. სავსებით ზუსტად შეიძლება დათარიღდეს ბაქარისეული თეფში, რომლის წარწერა ბაქარს მეფედ იხსენიებს, იგი კი მეფებდა 1717—1718 წლებში, ე. ი. თეფშიც ამ წლებშია დამზადებული. ვახუშტი ბატონიშვილის თეფშიც ამ პერიოდს უნდა ეყუთვნოდეს, რადგან 1720 წელი არის ის უკანასკნელი თარიღი, როდესაც შეიძლებოდა ჭურჭელი იმერეთში მოხვედრილიყო. ვახტანგ მეფის წარწერიანი თეფშიც დაახლოებით ამავე ხანებში უნდა იყოს დამზადებული. 1704—1712 წწ. ვახტანგი ქართლის გამგებელია, 1712—1719 წწ. იგი ისპაპანშია, ხოლო 1718 წ. ვახტანგი ქართლის უკატიური მეფე ხდება. თეფშიც ამ ხანებში უნდა იყოს დამზადებული, რადგან 1724 წ. ვახტანგ VI შეიღებით — ბაქარით, ვახუშტით, გიორგით და ოჯახის სხვა წევრებით რუსეთს გაემგზავრნენ.

ზემოთ აღწერილი ხუთივე თეფშის ერთმანეთთან ძალზე დიდი მსგავსება (ფორმების უსტი განმეორება, დამზადების ტენიკა, წარწერათა ხასიათი) აგრეთვე ისცი. რომ ჭურჭლი ერთი ოჯახის წევრს — ვახტანგ VI და მის შეიღებს ეკუთვნის, გვათიქრებინებს, რომ ისინი ერთი ხელისნის მიერ არის დამზადებული, დაახლოებით ერთიდამავე დროს, მე-18 საუკუნის I ხანებარში, უფრო ზუსტად კი 1717—1724 წლებში.

განძის კოჯირში აღმოჩენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. კოჯირი ძველთაგანვე ითვლებოდა ქართველ მეფეთა საზაფხულო საკანდ. ი. ა. გულდენშტედტ-მა 1771-72 წ. წ. საქართველოში მოგზაურობის დროს, თავის დღიურებში ჩა-წერა: „მეფეები წინათ, ზაფხულობით, იდგნენ მთაზე კოჯირთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია... ახლა ჩემი დღიური სხვა მიზეზების გამო არ სტოკებდენ“. („გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველში“ ტ. I. გვ. 93).

აკად. 6. ბერძნებიშვილმა ტოპონიმიკური მასალის საფუძველზე მოგვცა კოჯირის ციხის და, საერთოდ, თბილისისპირა მიდამოების ისტორია.

უძველეს დროიდან თბილისის ირგვლივ მრავალი „აგარა“ იყო: კოწანისი,

შინდისი, კოჯორი, ტაბახმელა და სხვ. ამათგან სახელი „აგარანი“ შეიჩინა ქალა—ქის სამხრეთი მდებარე იმ სოფელებს, რომელთაც „აგარის“ როგორც მასზე მუტლო სადგურის (საბა) სახელი შეეყერებოდა. „აგარანი“ მოუწერებული უნაკრი გზაზე მდებარეობდა და ამ გზაჯვარედინზე იღგა აგარათა ცახე აგარათა ციხე და მისი მიდამოები საუკუნეთა მანძილზე მეფისა და მაღალა წრის წარმომადგენელთა საზაფხულო სადგომი ყოფილა (ნ. ბერძენიშვილი — „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან“. მიმომხმილელი, II).

ბასილი ეზოსმოძღვარი იხსენიებს აგარათა ცახეს, სადაც დასწერულებული თამარ მეფე ნახევარი წლით სამეფო კარით დასახლებულია. „ისრაელეს და მუნ წარიყვანეს კუშოთავე და დიდად გამწერებული სენი იგი უწყალო. და კუალად წარმოყენეს აგარათა ციხეს“... თამარი ამ ციხეში გარდაიცვალა.

შემდგომ საუკუნეებში დაბებმა დაკარგეს აგარათა ძველი მნიშვნელობა და ისინა თავთავისათვის სახელებით (კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი და ა. შ.). მოიხსენიება. XV საუკუნიდან აგარათა ციხე უკვე კოჯრის ციხედ იწოდება.

XIII—XVII საუკუნეებს შორის აქ ზაფხულობით მეფეთა დგომის ტრადიცია დიდი ხნით შეწყვეტილა და მხოლოდ მე-17 საუკუნეში როსტომ მეფეს განუახლებია. ვახუშტი აღნიშნავს. რომ კაბენის მონასტრის სამხრეთით არის ციხე „კოჯრისა თხემსა ზედა კლდისახა. ამ ციხის სამხრით არს სასახლე მეფისა კოჯორი. აღაშენა პირ მეფემან რისიტომ უმეტესა უა მეფემან გიორგიმ და ედ შეფერიან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“. კოჯრის საზაფხულო სასახლეში 1721-22 წლებში ვახტანგ VI მოართევს ჟავნისაგან ვამოგზავნილი საპატიო ნიშნები და სამხრეთ აზერბაიჯანის სპასერ-ტობა უბოძეს.

როგორც ჩანს. XIII—XVIII საუკუნეების პირველ მეოთხედში კოჯრის სასახლეში ცხოვრება მიმდინარეობდა. სასახლის კარზე არსებობდა საჭურჭლე, რომელსაც მეტერქლეოთუბუცები განავებდა. მას თავის მხრივ ჰყავდა, ქვეშეერდომები — მეტედადეთუბუცები. მეჯამუთუბუცები და სხვ. რომელთაც სხვადასხვაგარი ჭრილები (მასალათა თუ დანიშნულების მიხედვით) ებარათ.

ძველი ქართული ჭრის ერთ მრავალურივანი იყო მასალის მიხედვით: ჭურჭელი ოქროსი, ვერცხლის, სილუენძის, ქეცის, ხისა თუ მინისა. სამეფო ჭურჭელი ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: 1. ჭურჭელი ოქრო-ვერცხლისა, მეკალისისან და 2. ჭურჭელი უვერტხლი — ყოველდღიური სახმარი. „ყოველ კულტურულ ყოფა-ცხოვრებაში იღნავ მანიც შეძლებულ ადამიანს თავისი სამსახურებულ-ჭურჭლეულის მარავი ორ ძირიარ ჯგუფად უნდა ჰქონოდა დაყოფილი და ასევე იყო ძველ საქართველოშიც. როგორც კერძო მეურნეობაში, ასევე სამეცნ შეურნეობაშიც“ (ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს მატერიალურია კულტურის ისტორიისათვის, II, გვ. 45). ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი „ნიადაგ“, ე. ი. ყოველდღე არ გამოიყენებოდა და „შეკრული სალაროში ძევს“ (B § 17). ხოლო ყოველდღე სახმარი ჭურჭელი სპილენძის, „სამზარეულო კარავშია“ შენახული და მას მეჯამეთუბუცები განავებდა. „მეჯამეთუბუცებისა ხელო არის. უვერტხლი ჭურჭელი სპილენძისა და „შეშისა“ (ხელმწიფის კარის გარიგება, § 13). ერთ-ერთი ასეთ მეჯამეთუბუცები განავებდა ვახტანგ მეფის დრის კოჯრის სასახლის კარზე „კარავ“ ანუ მოძრავ სამზარეულოს და ებარა სამეცნ კარის უვერტხლი ჭურჭელი სპილენძისა. ამ ჭურჭელთა რიგს მიეკუთვნება შემოთ აღწერილი განძიც.

რესუზან გვირდითი ბეჭედი
არქიტექტორი

ბ რ ლ ი ს ი ს ს ს ი რ ნ ი

(ძეგლის გახსნის ანგარიში)


ბოლნისის სიონის აქტე საფეხურებიანი ცოკოლი, რომელიც დაახლოებით ერთ დონეზე უკლის ძეგლს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. დასავლეთის ფასადთან მიწის დონე, შედარებით სხვა ფასადებთან უფრო მაღალია (ჩრდილოეთის ბოლოში 85, ხოლო სამხრეთის ბოლოში 20—25 სმ-ით) და



ბოლნისის სიონის ჩრდ.-დასავლეთის კუთხის ნაშთი

ცოკოლი არ ჩანს. მაგრამ ითვლებოდა, რომ ამ ფასადსაც უნდა ჰქონოდა ჩვეულებრივი ცოკოლი. არ ყოფილა მხოლოდ დადგენილი ძეგლის გაუხსნელობის გამო, როგორ უკავშირდებოდა იგი ჩრდილოეთის ფასადის ცოკოლს და რამდენი საფეხური ჰქონდა მას.¹

¹ ბ. ჩუბინაშვილი. ბოლნისის სიონი — ენციკლ. — ტაბაკე 1940, თბილისი, 1940, გვ. 49.



Հայության Տաճարի գելանու դիմում

ამერამიად, დასავლეთის ფასადის ნაწილი ჩრდილოეთის გაღერების ფარგლებში ში თითქმის მთლიანად დანგრეულია და ბაზილიკის მიზრითად კორპუსს გაუზიდა ვერანი შექმნების ღრის ნახევრად აგურით შეკოწიწებული ჩრდილოდას ფლერის თის კუთხე. რომელიც ძევლად მას არ ჰქონია. (ნახ. 1, 2 და 3). გვიპოვთ

დასავლეთის ფასადს აქვს კიდევ ერთი თავისებურება. მისი ძველა ნაწილი 32 სმ-ით უფრო განიტოია ზედაზე. გაგანიერების ზედა ხაზი პირიზონტულია. ბაზილიკის მთავარ კორპუსის ჩრდილო კუთხესთან მისი სიმაღლე უდრის 30. სამხრეთის კუთხესთან კი — 150 სმ. ჩრდილოეთის გაღერების ფარგლებში, ხადაც დანგრეულია მთლიანად დასავლეთის ტელელი და გაგანიერების ზედა ნაწილი, კარგად ჩანს ამ უკანასკენელის წყობა. ამოყვანილი უხეშად შესწორებული ქვებით, რიგბის პირიზონტულობის დაცვით ძეგლის ამ ნაწილში იგი მთლიანად ტელია და მისი ხასიათი კარგადაა შენახული. გაგანიერების დანარჩენი ნაწილის წყობა საფუძვლიანადაა შეკეთებული და „მოწესრიგებული“ ახალი ქვების დამატებით, და ნაერების ამოღესვით.

დასავლეთის ფასადს აქვს კიდევ ერთი საფეხური. რომლის წყობა თვით ძეგლის წყობასთან გადამუდი არ არის. ის მიჰყება მიწის დონის დაქანებას ფასადის ერთ ბოლოებან მეორემდე. მისი დიდორინი გათლილი ქვები ყვითელი ფერისაა და განსხვავდება ძეგლის წყობის მწვანე ქვისაგან. მისი გვიანი წარმოშობა აცეკვაა. ჩაც შეეხბა კედლის გაგნიერებას. არც მისი დანიშნულება და არც მისი შექმნის დრო ცნობილი არ არის. 1967 წ. ძეგლზე დაწყებულ სარემონტო-სარესტაციაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებუნენ სონის დასავლეთ კედლის დანგრეულ ნაწილის აღდგენას, დაისეა საკითხი ამ კედლის თავდაპირეველი აღნაონბისა და სხის დადგენის შესახებ.

ძეგლის გახსნამ და შესწავლამ საქმაოდ მოულოდნელი სურათი მოგვცა.

დასავლეთის კედლის მარცხენა ბოლოს ჩრდილოეთიდან შეკრინილი აქვს ცოკოლის ერთი საფეხური და წყობის ორი არასრული რიგი. ცოკოლის მარჯვენა განაპირია ქვის სიგანე სულ 30 სმ უდრის. დასავლეთის კედლის სიბრტყე უსწორმასწოროა. წყობის პირველი რიგის მარჯვენა ქვასაც დასავლეთის სიბრტყე ცერადა აქვს ჩაჭრილი, რიგორც ჩეულებრივ რიგით ქვას. ე. ი. არცერთი მათგანი თავდაპირეველად არ ყოფილა განკუთხილი კუთხის შესაქმნელად და მხოლოდ მეორე რიგის მარჯვენა ქვა წარმოადგენს ნამდგილ კუთხის ქვას, ორი მეზობელ სუჟ-თად გათლილის გვერდით.

დასავლეთიდან ცოკოლს საქრთოდ გაგრძელება არა აქვს. აქერთი წყდება საძირკელის წყობაც, ხოლო კედლის პირველი რიგის „კუთხის“ ქვის გვერდზე კი დევს დიდი, ღდნავ შესწორებული მოთეთორ ქვა, რომელიც ამ ძეგლზე მხოლოდ საძირკელებში იმარჩება. ამის შემდეგ იწყება კირის ხსნარით შექმნილი საძირკელის ზოლი, რომლის სიგანე კედლის გაგანიერების ტოლია (32 სმ.), სიღრმე 0,5; ხოლო სიგრძე 5,7 მ.

დასავლეთის კედლის გაგანიერებას სამხრეთის ბოლოშიც აქვს ასეთივე საძირკელი, სიგრძით 3,6 სმ.

ამ საძირკელის უკან კი, კედლის ძირითად სიბრტყეში მოჩანს ძეგლისათვის წარმოადგინებული, თეთრი ქვით ნაგები საძირკელი, რომელიც ბევრად უფრო ღრმად ჩადის. კიდრე გაგანიერების საძირკელი.

ბაზილიკის მთავარ კორპუსის ფარგლებში კი ძირითადი საძირკელი უდინო-
განიერია. 15—17 სმ. ვიღრე ჩრდილოეთის გალერეის და სამხრეთის კრიპტის
ფარგლებში, და გაგანიერების წყობა თავისი ნახევარი სიგანით უკრიცხოვა შას.
ასეთი კონსტრუქცია კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა მყარი, თუ გაგანიერებული-
ნაწილი მტიდროდ იქნებოდა დაკავშირებული კედლის ძირითად მასივთან ე. ა.
ერთდროულად იქნებოდა მასთან ამოყვანილი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძეგლის შიგნით იატაკის დონე 125 სმ-ით
უფრო დაბლა მდებარეობს, ვიღრე იწყება საძირკელის წყობა გარედან.

იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თავდაპირველად ხუროთმოძღვარს-
განზრახული პქონდა კიდევ ერთი სათავსოს (ნართექსის?) აგება დასავლეთი-
დან. მაგრამ, შენებლობის დასაწყისშივე, მისი აგება შეწყვეტილ და ბაზილი-
კის მთავარ კორპუსისა და ნართექსის შორის მდებარე შუა კედლი, დასავლეთის-
ფასადად გამოუყენებია. ამ შეწყვეტილ შენებლობაზე თითქოს მოწმობს პა-
ზილიკის ჩრდილო-დასავლეთის ცოკოლის ჩამოტეხილი ნაპირი და კუთხეში ნახ-
მარი რიცითი ქვა. მაგრამ ფასადისათვის ჩვეულებრივი ცოკოლი მოსაწყობად
უკვე ჩაყრილ საძირკელის სიგანე საკმარისი არ აღმოჩნდა. ამავე დროს არც თვი-
ოთინ კედლის სიგანე იყო საკმარისი ფასადის კედლისათვის. კედლის გაგანიერება-
უნდა წარმოადგენდეს საკმაოდ მოუხერხებელ ცდის შედეგს შენებლობაში შე-
ტანილ ცვლილებებით გამოწვეულ სიძნელეებს გადალაზვისა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჩრდილოეთის ბოლოში გაგანიერების წყობა თავ-
დაპირველი უნდა იყოს. მისი წყობის ჩიგები გადაიდის სამხრეთის ფასადზე,
რომელდავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს გაგანიერება არა აქვს.

როგორც ზონდაემა გვიჩვენა, ამ ფასადის ერთ-ერთი ქვა (X) შედის წყობის-
სიღრმეში 63 სმ-ით, რაც ძეგლის აგების შემდეგ საეჭვოა რომ მომხდარიყო.

საფიქრებელია, რომ ძეგლათაც მიწის დონე ძეგლის დასავლეთით უფრო
მაღალი უნდა ყოფილიყო სხვა მხარეებთან შედარებით და ფარავდა როგორც
დაუმთავრებელ კედელს. ისე გაგანიერების საძირკელს.

საშენი ქვები ქველ საქართველოში

საქართველო ქვის ხუროთმოძღვრების კლასიკური ქვეყანაა. საქართველოს საშენი და მოსაპირკეთობელი ქვების მარაგითა და მრავალფეროვნებით საბჭოთა კუმინიში ერთ-ერთ პირველი ადგილი უჭირავს. გადაქარბებული არ იქნება ოუზიტვით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული არქიტექტურის მაღალი დონე საშენი ქვების სიუხვითა და მრავალფეროვნებითაც აიხსნება. ქვის მხატვრულმა დამუშავებამ გაამდიდრა ქართული ხელოვნება საუცხოო ნიმუშებით, რომელიც ფორმით კლასიკურობის მწვერვალამდე აღწევს, ხოლო წარმოშობით უაღრესად ხალხური და ეროვნული არიან. ქვის ჭრის ქველი ქართველი თსტატები ითვალისწინებდნენ ქვის ოვისებებს: მათ სიმკერივეს, გამტლეობას, გამოფიტვის პროცესებისადმი წინააღმდეგობის უნარს, ქვების დამუშავების სიადგილეს. ქველ საქართველოში არქიტექტურული დეტალებისათვის ქვებს შრიღნენ „ისე ფაქტიზად, წმინდად... თითქოს ეს მორთულობა დანიშნული ყოფილობის არა არქიტექტურული შემკრიბისათვის, არამედ ყველაზე ძირისასი და ლაშაზი სურათის ჩარჩოსათვის“ (პ. უვაროვა). საშენი ქვების შერჩევაში ერთი რამ არის საუკრალებო: მისწრაფება ღია ელექტრის, თბილი ტონის, მოსაპირკეთობელი ქვებისადმი. თუ ცოკოლი მუქი ფერის ქვითაა ნაგები, შენობის ზედა ნაწილები, არქიტექტურული ელემენტები მეტწილად, შეძლების დაგვარად, ღია ფერის უზრო თბილი ტრიზის ქვებითაა შესრულებული. ქველ საქართველოში სხვადასხვა უერის ქვას იყენებდნენ „არა კონტრასტების, არამედ თბილი ტონათვობის, გადასცლების აკარიელური სურათის შესაქმნელად“ (აკად. გ. ჩიტინაშვილი).

საქართველოში შეუა საუკუნების არქიტექტურის მრავალი ძეგლი აღვალობრივი. ნაგებობათა მიღამობში გამრცელებული, ქვებითაა ნაგები. (პზიპის ტაძარი, ბედია, ცამში, ნოქალაქევი, შემოქმედი, კაცხი, გულათი, მოწამეთა, ბაგრატის ტაძარი, ქვთასიში, საგანე, ლარჯვისი, აკართვა, დმიანისი და სხვ.)

მავრამ შეუა საუკუნეებში საშენი მსალის გადატანა შორი მნიშვნილანაც ხდებოდა. მცხვეთის სევეტიცხოვლისათვის საშენი ქვები მეტწილად ძეგვიდან არის მოტანილი (აღვილი „ნადარბაზევი“), ნაწილობრივ აღგეთიდან: თბილისის სიონის ტაძრისათვის ქა მოტანილ იქნა ბოლნისიდან: ატენის სიონისათვის — სოფ. ჯვირიძან; ნიქოზის კელებისისათვის — ქვასათალიდან და ა. შ.

მშენებლობის აღგიღმზე საშენი ქვების მიტანა არსებითი საკითხი იყო ყოველთვის. მრავალი წერილობითი წყაროა თაცული შეუა საუკუნეებში საშენი ქვების გადატმის შესახებ. ძველ საქართველოში განსაკუთრებით მთიან რაიონებში ცნობილი იყო სპეციალური მარნილი ქვების გადასატანად. (თურქი-მთიულეოში, ძგლიფა — აქარაში და სხვ.).

ქართველ მოწამეთა განმარტინი იმ ქვებში, რომელმაც დღემდე თითქმის უცალებულ მოვარდისნენ შეუა საუკუნეების ქართველ ხუროთმოძღვართა ჩანაფიქრები: ბაზარი აღ ტ. ი. — აღმოსავლეთ საქართველოში შეუა საუკუნეებისათვის, გარ-

საკუთრებით საყულტო და ნაწილობრივ სხვა სახის ნაგებობათვის, ანუ მიმართული ერთად ბაზალტი შეიძლება ჩამოთვალით უნივერსალურ საშენ ქვად. ტევდ კართულში ბაზალტს ჰერ ეწოდებოდა (ჩ. ერისთავი). საქართველოში საშენად გამოყენებულია შავი ფერის მეცნიერი ფორმები, მუქი ნაცრისცერი, ზურისფერობანი ბაზალტი, ზოგ სახესხვაობას მომწევანო ფერი გადაპერაცის სამხრეთ-საქართველოში ბრინჯაოს ხანის მეგალითურ ნაგებობათათვის ძირითადად ბაზალტებია გამოყენებული. შეუა საუკუნებში ქართლში, სამხრეთ-საქართველოში ძირითად საშენ ქვას ბაზალტი წარმოადგენდა, ამ ქვითაა ნაგები ქალაქი-სიმაგრები — სამშენებლდე და დმინისი, ბაზალტითაა აშენებული მრავალი ეკლესია, მონასტერი და სხვ. ნაგებობანი (რუისი, ნიქოზი, თირი, ერებული, ხერთვისი, ალანდა, დრიანეთი, დმინისი, ნადარბაზევი, ფია, ჩხიფეთა, ვარძია, შემოქმედი და სხვ.). ბაზალტებისაგან აშენდებდნენ სახურავ ფილებს, პროფილირებულ ქვებს. ტევდ თბილისში ძირითადი საშენი ქანი იყო „აღგეთის ქვა“ — ბაზალტი. ამჟამადაც თბილისში მონუმენტურ ნაგებობათა ცოკოლებისა და ხშირად ბირევლი სართულის მოსაპირეობლად ბაზალტია გამოყენებული.

ა ნ დ ე ზიტ ი. ეს ქვაც შენებლობისათვის მეგალითური კულტურის დროიდანაა ნახმარი. ნაცრისფერობან ერთად გამოყენებულია იასამინისცერ-მოყვავისური, იისცერი, მოწითალი და სხვა ელევტრის ანდეზიტები. ანდეზიტებით ან ანდეზიტ-დაციტებითაა ნაგები ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ტევდი (საფარი, ზარზმა, ვალე, საუკუნეთი, ქარზამთო, გაგეთი, უღე, სხალთა, საბაზმინდა და სხვ.). მოხევები ანდეზიტს კეცის ქვას უწოდებენ. ანდეზიტის საბაზოს — საკეცეს. ხევში ამ ქანითაა ნაგები გერგეტის სამება, ხევის სიონი, არშის ციხე და მრავალი სხვ.

ტ უ ფ ი. როგორც მოსაპირეობელ ქვას, ტუფს ტევდ საქართველოში დაცი გამოყენება ჰქონდა. ვას ამჟამადაც ფართოდ უარისტო ტუფი უძველესი დროიდან ხმარობდნენ საშენად და საფლავის ქვებად. ამ ტუფს ბრექ-ჩისებრი სახესხვაობა ნახმარია მცხოვრის სკეტიცხოველის გუმბათისათვის. მემატიანე მას „მწვანე პორტირს“ უწოდებს. სოლ. ცერამი ადგილ „მაღანისიდან“ იის-ფერ ანდეზიტურ ტუფს შორეული დროიდან ხმარობდა მოსაბლეობა, ამ ტუფი-დან დაშავებული ფილებითაა დახურული ატენის სიონი. მარნეულის რაიონის ხუჯაბის ეკლესია (XIII ს.). მოპირეობებულია იისცერი ფორმებითი ტუფით. ყვი-ოული ტუფითაა მოპირეობებული სამშენებლის ტაძარი, თეთრი წყაროს ეკლესია, ანდეზიტური ტუფებითაა ჩობირეცხობული ზედა ვარძიის ეკლესია (X—XI ს.), ნაწილობრივ ზარზმის ტაძარი, საფარი. ძევირფასი დეკორატიული ფილებით ხასიათდება ბოლნისის ოქროსფერი ტუფი. ბოლნისის ტუფის საბაზო მეშვედებით ხასიათდება ბოლნისის ფერისფერი ტუფი. ბოლნისის ტუფის საბაზო მეშვედებითაა მოპირეობებული თბილისში იმედ-ის შენობის წინა ღასალი. მთავრობის სახლი, ნახშირტრესტის შენობა და სხვ.

კ ი რ ქ ვ ა. შეუა საუკუნებში დახველეთ საქართველოსათვის კირქვა წარმოადგენდა უნივერსალურ საშენ ქვას. საქართველოში ეს ქვა ანტიკური დროიდანაა შენებლობაში გამოყენებული (ტევდი სევასტოპოლისი). ამ ქვითაა მო-

პირკეთებული გელათი, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, უქიმერიონი, მწვანე ფერ-ვილა, ნიკორწმინდა, უზისი, კაცი, გეგუთი, ნოქალაქევი, მარტვილი, ცამი ლიხნი, ზიჭვინთა და მრავალი სხვ. მოსაპირკეთებულად მეტწილად მეუმჯობალური მარცვლოვანი რბილი კირქვაა ნახმარი (გელათი, ბაგრატის ტაძარი) ყალხრ ჭრა (რარა ონი), სავანის მცირე ზომის კულესია (X I ს.) აგებულია მოყვითალო უერის ნიგარიანი კირქვით, ხოლო ლიხნის ტაძარი (X I ს.) კავერნოზული მოყვითალო კირქვით, ხშირადაა ნახმარი თეთრი და ნაცრისფერი კირქვები. ამგამად ყვლარის ნაცრისფერმა და ვარდისფერმა კირქვებმა ფართო გამოყენება პპოვა ჩვენი რესპუბლიკის შენებლობაზე. კირქვა იყო და ღლემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო მოსაპირკეთებულ ქვად.

ქვიშა-ქვა ა. ანტიკური დროის მცხვითი, ვანის, ნაგებობათა მეტი ნაწილი აგებულია სხვადასხვა მინიჭალოვიური შედგენილობის ქვიშა-ქვებით. მცხვითის უგარი (566—604) ნაშენია მუქი-მოყვითალო, მოწითალო იასამინისფერი წერილ-მარცვლოვანი ქვიშა-ქვებით. ქვის გამძლეობაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ქვდლის ზედაპირსა და ორნამენტს გამოიუიტვისაგან ძლიერ მცირე ცვლილება განხუცდა. ატენის ხეობაში ატენის სიონიდან (VIII ს.) დაწყებული თანამედროვე ტრანსფორმატორის კოშეურამდე ყველა ნაგებობა ლია ყვითელი ფერის წერილმარცვლოვანი ქვიშა-ქვითაა აგებული. მცხვითის სევეტიცხოვლის (1010—1029 წ. წ.) ყველა ფასალი ქვიშა-ქვას წარმოადგენს: ქართლის რაიონებში ხშირადაა გამოყენებული საშენად ლიავვითელი, მოწითალო და ნაცრისფერი ქვიშა-ქვა: სამთავისი, წრომი, თილვა, ხცისი, წევმოეთი, წინარეხი, სამწევრისი, ოქონა, ქვემო ძალინას, ქვემოქალის კოშეება, სურამის ციხე, ქანის ერისთავების სასახლე—ლენინგრადში, თბილისში მეტეხის კულესია (1278—1289 წწ.). დასავლეთ საქართველოში: ილორი, ბედია, მოქვეთა წალენჯიხა და სხვ.

ტრავერტინი ან კირქვის ტუფი თეთრი ან მოყვითალო ფერის არამრებრივი ფორმებითი ქანია. ტველ საქართველოში ეს ქვა ფართოდ იყო გამოყენებული. ტრავერტინი ქართულად რამდენიმე სახელწილებას ატარებს: აღმოსავლეთ საქართველოში მას შირიმსა და დაჭვრეტის ქვას უწოდებენ. დასავლეთ საქართველოში — სპონტეს, სპონდიოს, სვანურად — სპენდის უწოდებენ, ხოლო ფშაველი კირქვის ტუფს — მატალა ეწოდება. ტრავერტინი როგორც საშენი ქვა ჯერ კიდევ VI საუკუნის არქიტექტურულ ძეგლებში გვხვდება, განსაკუთრებით კახეთის რაიონებში (ცხრაკარა, ახმეტა, გორიჯვარი, ნეკრესი, კონდამიანი). ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკში, არა მარტო გარეთა კუთხეები, არამედ შინაგანი ნაწილებიც: ტრიოპი, იმპოსტი, თაღი და სხვ. მთლიანად მოყვითალო ფერის შირიმის ქვისაა. ზოგჯერ ძეგლის კედლები მთლიანად ამ ქვითაა ნაგები: რაჭაში — გორის უბანი, კლდის უბანის რაკეთი, ღვარა, ხიმში, ჯოლუსუბანი, აფხაზებიში — ქიანი და სხვ. სვანებიში კულესიებისათვის მხოლოდ ტრავერტინი არის ნახმარი: მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთში — ეს ქვა ქართოდ არის გამოყენებული საკულტო ნაგებობებში. ხშირად საცხოვრებელ სახლებსაც აგებდნენ ტრავერტინით. (ქართლი, ზემო-იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი).

ფიქალი. ბუნებრივი ქვის ფიცრის „ფიქალის“ ცნება უძველესია ქართულ ენაში. იგი მოხსენებულია „ბიბლიის“ ქართულ თარგმანში. ეს ქვა ქართულში სიბისა და ასპიდის სახელწილებითაც იყო ცნობილი. მოხვევები ფიქალს ქაჭის ქვას უწოდებენ. ხოლო სვანურად მას „კა“ ეწოდება. ფიქალი საქართვე-

ლოში ძლიერ გაურცელებული ქანია. მას, განსაკუთრებით მაღალმთან ჩაიტოვდა. უძველესი დროიდან პქონდა გამოყენება, როგორც საშენ საცელი და სახურავ ქვას. უძველესი დროიდან ხმარებულმა ქანმა ჩვენს ეპოქაშიც პლიტა გამოიყენდა.

მარ მარ ი და ო. შეუ საუკუნეების საქართველოში არქიტექტურული და ტალებისათვის ხშირადაა გამოყენებული მარმარილო. თეორია მარმარილო იყო ნახმარი ცანდრიცების (ამეამად განთიადი, აფხაზეთი) ტაძრის პილასტრებისათვის არაუგიანეს III ს., ქუთაისის ბაგრატის ტაძარი ყოფილა „მარმარილოთა სპეციაკითა, წითლითა და ჭრელითა და სვეტებითა მისითვე და უკველთა შემკობილებათა სრული და ფრიად დიდი“; მარმარილოს სვეტები, კაბიტები ამკობდა ბიჭვინთის, დრონდის მონასტრებს. მარმარილო უხმარიათ მოქვის ტაძრის, შემოქმედის ეკლესიის შემკობისათვის. ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში აგებული სასახლე შემკული ყოფილა „სარკითა და მოთქროვილი, დიდი მხატვრობითა, ლავაგარდითა და მარმარილოს კედლითა“ (ვახტანგი).

მარმარილოთი იყო შემკობილი ერეკლე II მიერ გადაკეთებული როსტომ მეფის სასახლე თბილისში, სადაც მარმარილოს ლომის ქანდაკების პირილან შადრევნები ამოდიოდა. ეს სასახლე ცეცხლს მისცა აღა-მამად-ხანმა 1795 წელს. ამეამად ქართული მარმარილო ცნობილია არა მარტო ჩენჭში, საზღვარგარეთაც.

რიყის ქვა აველაზე ადვილ მისაწვდომი საშენ მასალას რიყის ქვა წარმოადგენს. ღღემდე მოაღწია V—VI სს. რიყის ქვით ნაგებმა ძეგლებმა (კახეთი). რიყის ქვასთან ერთად ხშირად იყენებდნენ ნგრეულ ქვას, რომელსაც ყორე ქვასაც უწოდებენ.

ძეგლ საქართველოში, იშვიათი გამონაცემისთვის: ქალაქი-სიმაგრეები, ციხე-კოშები, სიმაგრე-გალავნები, ეკლესია-მონასტრების გალავნები რიყისა და ნგრეული ქვით შენდებოდა, კახეთში კი ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, ეკლესიები, მონასტრები ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. ამეამად აღმოსავლეთ საქართველოში შენებლობისათვის თლილ ქვაზე მეტად რიყისა და ნგრეულ ქვას იყენებენ.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ქვა იყო და რჩება მთავარ მასალად მონუმენტურ ნაგებობათა ფასადების მოპირკეთებისა და არქიტექტურული მორთულობისათვის.

ისტორიულ წარსულში გამოყენებული ქვები უფრო ღრმა შესწავლას მოიხსენეს.

ციმონე პოლექაძი

ს. ჭავაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მეზერების განყოფებას ხელშეწევაზე

ჩართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე

მეცნიერებული საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთში აღზრდილმა მოწინავე ქართველმა ახალგაზრდობამ, აღმურებილმა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეა-ებით, მაღლა აღმართა დიდი ხნის წინად დაეცემილი ქართული დროშა, მთაბერა შას ეროვნულ-განმათავისულებელი ბრძოლის იდეა და წინ წაიმძღვარა, როგორც ნიმანი ხალხის სოციალური და ეროვნული შეჯების გამოფეინლებისა — ეროვნული ჩაგვრისა და ბატონიშვილის წინააღმდეგ ბრძოლისა. ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევისა და ახლის ჩასახვის პერიოდში თავი იჩინა ხალხის ეროვნული თვითშევეგნების თანდათანობითმა ზრდამ, რამაც უზრუნველყო ქართული კულტურის დაცვა და განვითარება. ამ დიად მოძრაობაში შეტანილი გულმაზურვალედ ჩაება ერთი ღირსეული ქართველი გლეხი, რომელმაც მოვლი თავისი სიცოცხლე ეროვნული კულტურის დაცვისა და წინაშელის საქმეს შესწირა; ეს იყო ფოტოგრაფი ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილი.

ალ. როინაშვილი დაიბადა 1846 წელს ქ. დუშეთში, ღარიბი გლეხის, მეუნაგრის ოჯახში. მამი ადრე გარდაცვალა და ბავშვის აღზრდის სიმძიმე მთლიანად დედას დააწვა. სიკეულდაწყებითი განათლება მიიღო ჯერ ღუშეთის სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სამხედრო აღსაზრდელთა სკოლაში, ანანურში. სკოლაში გამეცებული აუტანელი რეჟიმის წყალის აღვესანდრემ სწავლა ვერ გაავრძელა და შინ დაძრუნდა. დედამ იგი ქალაქ კაცვაში წაიყვანა და მეწერილმან გატარს მიაპარა, პატარა ალექსანდრეს ბუნება ვაჭრობას ვერ შეეგუა, მაღლე თავი დაანება და თბილისში ჩამოიდა.

თბილისში იგი ცნობილი ფოტოგრაფის ხლამოვის სახელისნოში მიიღეს მოწაფედ. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ალექსანდრე რამდენიმე ხანში ხლამოვის მარჯვენა ხელი გახდა. დაახლოებით 1860—1865 წწ., როდესაც სრულიად დაეცვა ფოტოგრაფის ხელოვნებას მან, ხლამოვის დახმარებით გახსნა ფოტო-სახე-



ალ. როინაშვილი

დოსნო. აღ. როინაშვილი, აღმათ პირველი ქართველი ფოტოგრაფი იყო თომელ-მაც თავისი საკუთარი ფოტო-ატელიე დარჩა. ამ ფოტოგრაფიამ მაღლ სახელი მოიხედვა. რამდენიმე ხანში აღ. როინაშვილმა დაიწყო ქართველი წერტილთა და შოლვაშეთა გადიდებულ სურათების გამოშება. რომლებიც ხალხშიც ციფრულად ვრცელდებოდა. ეს პირტკეტები ყოველი გათვითცნობიერებული იჯახის აუკი-დებელ ატრიბუტად იქცა. უკანასკნელ დრომდეც ბევრ იჯახში შევდებოდით, გრძელ გრეჩილ ზონაზე დაიდებულ. შოთას, ილიას, აკაკის და სხვათა სურა-თებს. ამ სურათებმა არა ერთხა და ორ თაობას შთაუნერგა ინტერესს და სიცა-რული ქართველი კულტურისა და მისი მოღვაწეებისადმი. განსაკუთრებით აღსა-ნიშნავია აღ. როინაშვილის დევწლი რუსთაველის პირტკეტის შექმნაში. მის ფოტოგრაფიაში შექმნილი, რუსთაველის სურათი თოხმოცი წლის განმავლობა-ში შევთვისა ქართველი ხალხის წარმოდგენას მის უდიდეს მოსანზე.

აღ. როინაშვილმა დიდი ამაგი დასდო იმ თეატრის წინსცლის საქმეს. რო-ნელმაც შემძეგ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვით-შეგნების ამაღლებაში. მან თავისი სახელოსნოს დარბაზი დიდი ხით დაუთმო ახ-ლად დაარსებულ. მედმივ დასა რეპეტიციებისათვის.

1880 წლიდან იწყება აღ. როინაშვილის მეტად ნაყოფიერი მოგზაურობა ფოტო-ატარატით ხელში. დაახლოებით ერთი წელი იგი კახეთში მუშაობდა, იღებ-და ისტორიულ და ხეროოთოდღურულ ძეგლებს, ხოლო 1881 წლიდან გადავიდა დაღვისტანში. რეა წლის განმავლობაში იმშვივა მან აქ, ფეხით შემოიარა მოელი დაღვისტანი, გადაიღო უამრავი ფოტოსურათი, შეკრიბა და შეისყიდა დიდაღალი არქოლოგიური, ნუმიზმატიკური და ეთნოგრაფიული მასალა, შეისწავლა და აღ-წერა ადგილობრივ მცხოვრებთა ყუფთა. ამ მოგზაურობათა დროს იგი ყოველთვის ექვებდა ქართული კულტურის კვალს — ნაგებობებში, ნივთებში, ზერწევულებებ-ში. თუ გავითვალისწინებთ ამ მოიან და მიუვალ მხარეში იმდროინდელი გზების და ტრანსპორტის მდგრამარეობას, მაშინ ადგილი წარმოსალგენა იქნება თუ რო-კორა წინააღმდეგობათა დაძლევა უხდებოდა მას. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ხლამოთან ყოზნისას აღიძრა მას დიდი სიცავარული სიძეელეთა შექრებისაღმი და იგი არ განეცლება მოელი ცხოვრების მანძილზე.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ თუ რა სიცავარულით და გატაცებით ემსახურებოდა აღ. როინაშვილი საქმეს, საჭიროდ მიგვაჩინა შემოყლებული სა-ხით მოვიყვანოთ მისი წერილი ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისაღმი, დათარიღებული 1885 წლის 2 დეკემბრით:

.... დღეს ერთი თვეა რაც ავებრუნდი დაღვისტანში მოგზაურობიდან, სადაც თითქმის მოელი ზაფხული ვმოგზაურობდი და ბევრი კარგი ხედები გადავიდე-გარდა ხედებისა, დაღვისტანში მცხოვრებლებთაგან ვყიდე ოცდაათამდენ ძლიერ კარგი და შესანიშნავი ნივთები... გიგზავნით ორ სურათსა, რომელიც ადგილობ-რივ მე გამოვხატე, ეუბანის ძეგლი მეჩეთის კედლებიდანა და რომელიც ნამდვილს ამტკიცებს, რომ ეს მეჩეთი ოდესშე ყოფილა ქრისტიანთა ეკლესია...

შატონო დიმიტრი! ახლა როინდე სიტყვა მინდა მოგაბენიოთ ჩემს მოგრო-ვილ ნივთებშე და ჩემს განზრახვაზედ. ამგვარ ნივთების შეძენა და მოპოება ისე მეხალისება და ისე მიყვარს, რომ თითქმის ყველაფერს ნაკლებულობას დიდის სია-მოვნებით ავიტან ხოლმე ღოლნდ კი შევიძინო და შევმატო რამე ჩემ კოლეგიასა. ამგვარი სასათის წაულობით დღეს თითქმის ცეკვასი ნაცერი ნივთი შევიძინე და

ე ა პ ი რ ე ბ მ თ ძ რ ა ვ ი მ უ ზ ე უ შ ი ს გ ა შ ა რ თ ვ ა ს . ა მ გ ვ ა რ ი მ უ ზ ე უ შ ი ს შედგენა მისთვის განვიზრახე, რომ მინდა ჩემი სიცოცხლის შემდეგ დავთაროვთ, წერა-კითხვის გამარტივებელ საზოგადოებას; საიდგანაც ექნება მუდმივი წილივა სავალი თუ საქმეს კარგად აწარმოებს.

ა მ ჩ ე მ ს სიცოცხლეში კიდევ არ დავიშლი და შეძლების დაგვარად ვეცლები, რომ ბლობად, შევმატო ძველი ნიერები ჩემს კოლეგიას...”

მოძრავი მუზეუმის გამართვას, ალ. როინაშვილი 1887 წელს შედგა. „კავ-კასიური მუზეუმის“, როგორც მას უწოდებდნენ, გამოფენები მოეწყო თვით თე-მირანგურაში (თანამედროვე ბუინაცხავი, დაღუსტანის ასარ) სადაც როინაშვილი ცხოვრიობდა, ასტრახანში. მოსკოვში და პეტროგრადში, იგი შედგებოდა არქეო-ლოგიური, ეთნოგრაფიულ და ნუმიზმატიკური განყოფილებისაგან. წარმოლგი-ნილი იყო აგრძელებული ათასშე შეტიკ კავკასიის ამსახველი სურათი. რომელთა დაუთვა-ლიერება შეეძლო 32 კაცს ერთდროულად, სტურეოსკოპების საშუალებით. გამო-უნებები ბევრი მნახველი მიიჩიდა. მათ შორის სპეციალისტებიც. გაზორებმა დიდი ქებით მოიხსენიეს ისინი. მაგალითად პეტროგრადის გაზრითი «Новое в премиа» წერდა — „ბათუნი როინოვი პირველი შემგროვებელია კავკასიის სიძეველეებისა, რომელიც მოიცავს მრავალს საანტერესოს ანტერლოგიას ცველა დარგისათვის მომავალ მეცნიერებისა და სპეციალისტ-მკერავართათვის“. ამ გამოფენების მო-წყობით ალ. როინაშვილმა მიიღება სათანადო მეცნიერული საზოგადოებათა ურალება და უკვე მას ანგარიშს უწევდნენ. როგორც კავკასიის სიძევე-ლეთა მცოდნეს.

ალ. როინაშვილი საქართველოში დაბრუნდა 1889 წელს. იგი კვლავ გატა-ცებით ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მის ყველა სფეროში სიტყვით თუ საქმით, თავისი წვლილი შეიტანა, მას ღრმად ესმოდა თავისი ქავშ-ნის მდგომარეობა და მისი ყველი მოქმედება მიმართული იყო ძველის დაც-ვისა, ახლის დამცვილებისა და განვითარებისაკენ.

მან თბილისში გახსნა სამი ფოტო-ატელიე, მათთან დაარსა სკოლა-პანსიონი. სადაც ჩივიდმეტ მოწაფეებს არჩენდა უფასოდ და ასწავლიდა ფოტო-ხელოვნებას. იგი სხვებსაც მოუწოდებდა დახმარება გაუწიათ სწავლას მოწყურებული ახალგაზრ-დობისათვის. განსაკუთრებით ზრუნავდა გლეხობაში განათლების შეტანასა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. წერდა წერილებს ამ საკითხზე და გლეხო-ბისთვის სცემდა მცირე ზომის წიგნებს, მას არასოდეს არ გაუწყვეტა კავშირი თავის შშით კუთხესთან; გარდაცვალების წინა ხანებში, საფუძველი დაუდო უფასო სამკითხველოს გახსნას დუშეთში.

იგი გაზრითი საშუალებით იწვევდა ხელისან ქალებს, რომელთაც „შეუქ-ლიათ ძველებური ხელოვნებით ოქრომეტანის და აბრეშუმის ძაფეულით კერა-ფარიზებზედ“. ამით ცდილობდა აღედგინა მიერწყებული ქართული ხელისაქმე და როგორც პრაქტიკული გონების პატრონი, ამისათვის ეძებდა კომერციულ სა-ფუძველს.

ალ. როინაშვილი კვლავ განაგრძობს კოლექციების შევსებას „ყიდულობს ყოველგვარ ძველებურ ნიერებს“, რისთვისაც სისტემატურად ათავსებს გაზორებ-ში განცხადებებს. იწყებს მოგზაურობას ფოტოაპარატით ხელში — „წარმოიდებ-და ჲ. ლაპარაურს აპარატს და ოვეობით დადიოდა... არ იყო საქართველოში ძველი ციხე-ქალაქი, ეკლესია და მათი ნანგრევები, რომ მას არ ქონდეს გაღალებული“.

იგონებს მისი მოწაფე ი. გუნცაძე. ასეთი ფოტოებით შედგენილ აღბომებს ქვრიველებდა და ამით აცნობდა სხვებს საქართველოს უძველეს კულტურის ისტორიაზე.

კვლავ განახლდა მის ფოტო სახელოსნოში, გრძელი სუფრის ტაქტიული ყველა მწერალთა, მხატვართა და გამომცემელთა შეკრები, სადაც იმართებოდა სჯა-ბასი და კამათი მრავალ საჭირობოსთვის საყითხზე. ერთ-ერთ ფოტოგრაფიაში, რომელსაც ეწოდებოდა „რემბრანტი“, მოთავსებული იყო მისი მუშეუმი. მის სანახავად უაპრავი ხალხი დადიოდა, განსაკუთრებით ცეხოელები.

ა. როინაშვილის უმთავრეს საზრუნვას ეხლა, ეროვნული მუშეუმის დაარსება შეადგენდა. ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის საყითხების მეცნიერულ დამუშავებას; იგი წერდა: „აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცულებებაა, გამომხხვევებაა, აწყვის გაგება და შარიმართვაა. მერჩისის გამორჩევება სიბრძლისაგან“. ამ პირობებში ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შეკრებამ და დაცუამ განსაკუთრებული ეროვნული შინაარსი მოიძოვა. ქართველთა შორის წერა-კითხების გამარცელებელი საზოგადოებისა და საკელების მუშეუმები. თუმც მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ, მათი მუშაობა ექსპონატების შეკრების მხრივ უსახსრობის გამო მეტად შეზღუდული იყო.

თბილისში არსებული კავკასიური მუშეუმის ექსპოზიციები არ იძლეოდნენ ცოტად თუ ბევრად სრულ წარმოდგენას კავკასიის რომელიმე ხალხის კულტურაზე, არ ჩანდა ცალკეული ხალხების ინდივიდუალური სახე. დირექტორი არ უშევებდა მუშეუმში სამუშაოდ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ამგარად, იგი დენაციონალიზმული და მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას მოშევერილი იყო. ასეთ ტენდენციათა საპირისპიროდ დადგა საკითხი ქართული ეროვნული მუშეუმის დაარსებისა.

აღ. როინაშვილი გულისტყოფილით აღნიშნავდა, რომ უცხოელებს ჩევნი „ხელოვნებით სამაგალითო განძი... მიაქვთ ჩვენი ქვეყნიდან თავისთ საოჯახო მუშეუმებში და სამუდამოდ ეკარგება ჩვენს ქვეყნას და ჩვენს საერთო მუშეუმებს“. აქედან ნათლად ჩანს, თუ რისთვის იღწვოდა იგი მოული ოცი წლის განმავლობაში.

აღ. როინაშვილმა დიდი სიმწვავით დააყენა საკითხი ეროვნული მუშეუმის დაარსებისა და მისცეის შენობის ავების შესახებ. არა ერთი წერილი გამოაქვევნა პრესაში ამის გამო. ყველ კულტურულ ერს შემოვალს რუსეთის მფარველობაში აქვსო თავისი მუშეუმი, აღნიშნავდა იგი: „მე დარწმუნებული ვიყავ, რომ აღრით თუ გვიან ჩვენი დაწინაურებული პირი დაიწყებდნენ ამ ფრიად საჭირო და წა-ზილიშვილო საქმიზე ზრუნვასა და სწორედ ამის გამო ამ ოცის წლის წინათვე შეცდევ შე ძევები შესანიშნავის სამუშეუმი ნივთების მოყრებას“.

მან ეს ოცი წლის ნაღვაში, 1886 წლის 22 მაისს (3 იენის), სანოტარო წესით უანდერა ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოებას. მოელი მისი ქონება: ფოტოგრაფიული სახელოსნოები, ნეგატივები, აპარატები, ფოტო სურათები, არქეოლოგიური და ანტიკეგარული ნივთები. აგრეთვე კაპიტალი და მოძრავი ქონება. რაც კი მისი სიკედილის დღეს აღმიჩნდებოდა, ამ ანდერაში ძალით გადადიოდა საზოგადოების სრულ საკუთრებებაში. მაგრამ, როდესაც მან მოინდომა შეკრებილი მასალა ანდერაშის თანახმად გადაეცა, საზოგადოებამ იგი ეკრ მიიღო ბინის უქონლობის გამო.

აღ. როინაშვილის თითონ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები მუზეუმის შემთხვევაში ასაგებად. ოხოვნით მიმართა ზუბალაშვილს შეეწირა მიწა მუზეუმისათვის არ დაიშურა თანხა და მუზეუმის შენობის პროექტი შედგენინა არქიტექტორის პ. ფ. შტრიჩის. ამ საქმის პოპულარიზაციის მიზნით მუზეუმის შენობის ფასალის პროექტი ღია პარათებად გამოსცა და გაავრცელა ხალხში. მაგრამ საქვე წინ მაიმც არ შავიდა...

1898 წლის 11(23) მაისს ალექსანდრე როინაშვილი მოუღოდნელად გარდაიცვლა. მისმა გარდაცვალებამ დიდი მწირხარება გამოიწვია.



... სანგარიშო წელს . . . წიგნთსაცავი ნიმღები შესერტად გადაწყვა რაზეც მოელი არქეოლოგიური და ნუმიზატური კოლექცია გამსეყნებულის აღ. როინაშვილისა . . . შეიძლება საკუთრებად საზოგადოებათ. (ქ. ბ. წ. კ. გ. საზოგადოების 1889 წლის ანგარიშიდან).

